# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№157-158 (9988-9989) 2025 წლის 26 ნოემბერი, ოთხშაბათი


## „უკრაინის პროექტის“ გვამი ევროპას!



იხ. 4 გვ.

### „სამშვიდობო გეგმა“ ფანტასტიკის სფეროდანაა!

ნათელა ქიმერიძე:

## «წვეთად დაგცემია უკვდავების წყალი...»

12 13



ზეინაბ სარაძე

## ლოიალური ტრამპი, ტირანი პუტინი და... აფერისტი ევროპა!



იხ. 7 გვ.

ემზარ კვიტაიშვილი:

## ქვეყანა ასევე დარჩება

11

ხვედრი, ბოლო, ერთი აქვთ –
დღემოკლეს და ასწლიანს,
კუკუდამალობანა
სიკვდილთან ვის გასვლია!..
სულ არ მიჭირს მიხვედრა
– დედანი თუ ასლია.

გზას ერთად ადგებიან –
გულადი და ლაჩარი,
მართალს ვერ ჩააჩუმებ,
გინდაც ბურთი ჩასჩარი,
ორპირობა არ მომწონს,
არც ღვინო – ნაჭაჭარი.

ყველაფერს ვერ გაწვდები,
რომ გაიჭრა ასადაც,
ლაყაფს, ბრტყელ-ბრტყელს,
ჯობია სიტყვა – დინჯი და სადა,
არაფერს ცვლის მოხმობა –
სიბრძნეთა ანდაზათა...

ჯოან როულინგი:

## ზოგი მამაკაცი ქალზე უკეთესი ქალია!

იხ. 4 გვ.

გიგი მიქანაძე:



2

## 2025 წელს, ქართული განათლების სისტემის ისტორიაში პირველად, სახელმწიფო ენის გამოცდა ჩატარდება

ევროკავშირის უზენაესი სასამართლო:




7

## ერთნაირსქესიანთა ქორწინება ევროპის ყველა სახელმწიფოში უნდა იყოს აღიარებული!

## ხელი არ ახლოთ, მომწამვლელი პლასტმასია!

3

გელა ქოქიაშვილი:

## კატილინას შეთქმულებაც გვახსოვდეს!



8 9

ინტრიგების სათავე



# ჩვენი პრემიერი რომის პაპს ლეო XIV-ს შეხვდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე რომის პაპს ლეო XIV-ს შეხვდა.**

საქართველოს მთავრობის ინფორმაციით, პრემიერმა საქართველოს მთავრობისა და ქართველი ხალხის სახელით პაპ ლეო XIV-ს რომის კათოლიკური ეკლესიის წინამძღვრად არჩევა კიდევ ერთხელ მიულოცა და იმედი გამოთქვა, რომ პრემიერ-მინისტრის რანგში ვატიკანში მისი პირველი ვიზიტი ხელს შეუწყობს საქართველოსა და წმინდა საყდარს შორის არსებული ურთიერთობების შემდგომ გაძლიერებას.

**„რომის პაპთან გვქონდა ძალიან საინტერესო საუბარი. ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის ვატიკანის, რომის პაპის მხარდაჭერა. დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან ეს მხარდაჭერა იყო ძალიან მნიშვნელოვანი, რისთვისაც რომის პაპს მადლობა გადავუხადე. მხარდაჭერა ჩვენი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ ვატიკანის მხრიდან არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რასაც ხაზი გავუსვით. ასევე საუბარი გვქონდა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან და იმ გამოწვევებთან დაკავშირებით, რომლებიც დგას ჩვენი ქვეყნის და თანამედროვე სამყაროს წინაშე, მათ შორის, როდესაც საქმე ეხება ქრისტიანული ღირებულებებისთვის ბრძოლას. რა ბრძოლას გადის ამ კუთხით ჩვენი ქვეყანა, როდესაც საქმე ეხება ქრისტიანულ, ტრადიციულ ღირებულებებს, ამაზეც გვქონდა ძალიან საინტერესო საუბარი რომის პაპთან“,** – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

# პარლამენტი დღეს ირაკლი კობახიძეს მოუსმენს

**„მთავარი თემა, რაც მინდა, საზოგადოებას ვაცნობო, ეს არის ინტერპელაცია პრემიერ-მინისტრის. 26 ნოემბერს მობრძანდება პრემიერი პარლამენტში.**

**ინტერპელაციის საკითხები შეეხება ორ ძირითად თემას: პირველი – განათლების რეფორმასთან დაკავშირებული შეკითხვები, რომლებიც ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“ მოამზადა და ასევე იმ უპრეცედენტო ინვესტიციასთან დაკავშირებით, კერძოდ, „იგლ ჰილსზე“ და „ემაარზე“ მაქვს საუბარი. რამდენიმე თვეში უნდა დაიწყოს პროექტის განხორციელება ჩვენს ქვეყანაში. ყველას კარგად გვახსოვს აჟიოტაჟი ამ უსამშობლოების მხრიდან ამ მართლაც საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინვესტიციის ირგვლივ“,** – განაცხადა გუშინ უმრავლესობის ლიდერმა **ირაკლი კირცხალიამ.**

## შალვა პაპუაშვილი: დემოკრატიის მტრების ადგილი პოლიტიკაში არ არის!



**მას შემდეგ, რაც 4 ოქტომბრის დამხობის გეგმა ჩაიშალა, დამხობის რაღაც ახალ გეგმას მოიფიქრებენ, ჩვენი პასუხია საკონსტიტუციო სარჩელია,** – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ **შალვა პაპუაშვილმა** გუშინ განაცხადა.

**„იმედი გვაქვს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო სარჩელს გაიზიარებს. დემოკრატიის მტრების ადგილი პოლიტიკაში არ არის, დემოკრატიის მტრებს საშუალება არ უნდა ჰქონდეთ, რომ ისარგებლონ დემოკრატიული ინსტიტუტებით. რადიკალებს სამართლებრივი პასუხი გაეცემათ. რაც ოპოზიციაში ხდება, ამაზეა ქართული გამონათქვამი – ყვავმა ყვავს უთხრა, შენ ჩემზე შავოო“...**

**ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ უკრაინაში დამყარდეს მშვიდობა. რა პირობებით იქნება, რა თქმა უნდა, ეს საკითხი უკრაინის და უკრაინის ხელისუფლების გადასაწყვეტია, თუმცა ფაქტია, რომ უკრაინის ხელისუფლებას დღეს არჩევანი აქვს ცუდსა და უარესს შორის,** – ამის შესახებაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილმა** განაცხადა.

ფაქტია, დაიმსხვრა მითი ევროპაში კანონის რეგულაციების მორჩილებასთან დაკავშირებით, როდესაც დღისით, მზისით, ყველას თვალწინ ხდებოდა ავაზაკური რეკეტი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ...

კვლავ გავიმეორებ ბიძინა ივანიშვილის ადვოკატების მიერ გამოყენებულ შეფასებას, რომ ეს იყო ავაზაკური რეკეტი და ყაჩაღობა, დღისით, მზისით, შუაგულ ევროპაში, ევროპული საფინანსო სტრუქტურების გამოყენებით, რომლებიც ასე ამაყობენ თავიანთი რეგულაციებით, გამჭვირვალობით, კანონისადმი განსაკუთრებული მორჩილებით და ა.შ. ეს ყველაფერი, რაც ჩვენ ვაკვირდებით ამ წლების განმავლობაში სასამართლო პროცესს, ჩამოიშალა.

**„ერთ რამეს უნდა დავაკვირდეთ, რატომ იყენებენ ამ ინსტრუმენტს ასე ხელგაშლილად ევროპელები. არ სჭირდებათ არც სასამართლო კონტროლი, არც რაიმე დასაბუთება, არაფერი, აბსოლუტური თვითნებობაა. ჩვენ რომ გვეუბნებიან სხვადასხვა კომისრები ბრიუსელიდან, რომ ჩართული უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოება, შემდეგ სასამართლო კონტროლი, უნდა იყოს დასაბუთება, უნდა იყოს ხანგრძლივი განხილვა და ა.შ. ეს ყველაფერი ხაზგადასმულია. გამოვა რომელიღაც ერთი ბიუროკრატი და კალმისტრის ერთი მოსმით გადაწყვეტს ამ საკითხს ისე, რომ ადამიანი ვერაფერს იზამს. ისე გააქრობენ მას ეკონომიკური ურთიერთობიდან, თვალს არ დაახამხამებენ. ეკონომიკური სანქციები ზუსტად ეს არის, რომ არის სისხლის სამართლის სასჯელის ტოლი მექანიზმი, როდესაც, მაგალითად, უზღუდავენ ადამიანს საბანკო მომსახურებაზე წვდომას. ნულია სასამართლო კონტროლი, საერთოდ არაფერი, აბსოლუტური თვითნებობაა. ეს ხალხი შემდეგ რაიმე ღირებულებაზე რომ საუბრობს, რა თქმა უნდა, სასაცილოა...**

* * *

**გაერთიანებული სამეფოს საიდუმლო საბჭოს სასამართლო კომიტეტმა, რომელიც გაერთიანებული სამეფოს უზენაეს სააპელაციო სასამართლოს წარმოადგენს, ბიძინა ივანიშვილისა და შვეიცარიული ბანკის, „კრედიტ სუისის“ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება გამოაქვეყნა.**

**აღნიშნული გადაწყვეტილებით, სასამართლომ ერთხმად უარყო ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ „კრედიტ სუისის“ შვილობილი კომპანიის CS Life-ის საჩივარი ყველა საკითხზე, ზარალის შეფასების ზუსტი თარიღის დაწყების გარდა. სასამართლომ ასევე არ დააკმაყოფილა ჯვარედინი საჩივარი.**

**ევროკავშირის უზენაესი სასამართლო:**

# ერთნაირსქესიანთა ქორწინება ევროპის ყველა სახელმწიფოში უნდა იყოს აღიარებული!

**ევროკავშირის უმაღლესმა სასამართლომ სამშაბათს დაადგინა, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინებებს მთელი ბლოკის მასშტაბით უნდა სცენ პატივი და გააკრიტიკა პოლონეთი იმის გამო, რომ ვარშავამ საკუთარი ორი მოქალაქის გერმანიაში დარეგისტრირებული ქორწინების აღიარებაზე უარი თქვა.**

სასამართლომ დაადგინა, რომ პოლონეთი არასწორად მოიქცა, როდესაც არ აღიარა ორი კაცის ქორწინება პოლონეთში დაბრუნების შემდეგ, იმ მოტივით, რომ პოლონური კანონმდებლობა ერთნაირი სქესის მქონე ადამიანებს შორის ქორწინებას არ უშვებს.

**„ეს არღვევს არა მხოლოდ გადაადგილებისა და ბინადრობის თავისუფლებას, არამედ კერძო და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის ფუნდამენტურ უფლებასაც“,** – აღნიშნულია სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

სასამართლოში განმარტავენ, რომ ეს გადაწყვეტილება არ ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, დაუშვან ერთნაირსქესიანთა ქორწინება თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში, მაგრამ მათ არ აქვთ უფლება მოახდინონ ერთნაირსქესიანთა წყვილების დისკრიმინაცია იმის მიხედვით, თუ როგორ აღიარებენ ისინი უცხოეთში დარეგისტრირებულ ქორწინებებს.

# გივი მიქანაძე: 2025 წელს, ქართული განათლების სისტემის ისტორიაში პირველად, სახელმწიფო ენის გამოცდა ჩატარდება

**„საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 2025 წელს, ქართული განათლების სისტემის ისტორიაში პირველად, სახელმწიფო ენის გამოცდა ჩატარდება. გამოცდისთვის რეგისტრაცია 24 ნოემბერს დაიწყება და 1 დეკემბერს დასრულდება“,** – აღნიშნულთან დაკავშირებით განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა **გივი მიქანაძემ** სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

გივი მიქანაძის თქმით, მსოფლიოს სახელმწიფოთა დიდი ნაწილი ატარებს სახელმწიფო ენის გამოცდებს, რომელთა შედეგების მიხედვით გამოსაცდელს ეძლევა ენის ფლობის შესაბამისი და იმ კონკრეტული ქვეყნის მიერ აღიარებული სერტიფიკატი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უცხოელი სტუდენტებისთვის, საჯარო სამსახურში მუშაობის უფლების მქონე უცხოეთის მოქალაქეებისთვის, უცხოეთში მცხოვრები ქართველებისთვისა და ბიზნესსექტორში დასაქმებული არაქართულენოვანი კადრებისთვის.

**„სახელმწიფო ენის გამოცდა მნიშვნელოვანია ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის გაძლიერებისა და ენის ფუნქციონირების არეალის გაფართოებისათვის. სწორედ ამ მიზნით, სახელმწიფო ენის სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა მოამზადა გამოცდა, რომელიც სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ამიერიდან სახელმწიფო ენის გამოცდა წელიწადში რამდენჯერმე ჩატარდება და ოთხი კომპეტენციის შემოწმე-**



**ბის შესაძლებლობას მოგვცემს. ესენია: მოსმენა, კითხვა, წერა და ლაპარაკი. ამ ეტაპზე განსხვავებული სირთულის ორი ტესტირება ჩატარდება: პირველი განსაზღვრავს ქართული ენის ფლობის A1 და A2 დონეებს, მეორე – B1 და B2 დონეებს. დონეების დიფერენცირება იმის მიხედვით მოხდება, თუ რამდენ ქულას დააგროვებს აპლიკანტი.**

**2030 წლიდან, A1, A2, A1 და A2 დონეებთან ერთად, C1 და C2 დონეების განმსაზღვრელი გამოცდების ჩატარებას ვგეგმავთ და ამ მიმართულებითაც მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს,“** – აღნიშნა მინისტრმა.

გივი მიქანაძის განცხადებით, ქართული ენის გამოცდისთვის რეგისტრაციის გავლა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ელექტრონულად შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სარეგისტრაციო გვერდზე online.naec.ge.

მხედველობადაქვეითებული და უსინათლო გამოსაცდელებისათვის გათვალისწინებულია ბრაილის სისტემა ან სპეციალური ელექტრონული პროგრამა.

სახელმწიფო ენის ფლობის დონის დამადასტურებელ დოკუმენტს სახელმწიფო ენის გამოცდის შედეგების გათვალისწინებით გასცემს სახელმწიფო ენის დეპარტამენტი.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ საგამოცდო ტესტზე მუშაობა რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა – დასაწყისში მთელი საქართველოს მასშტაბით გამოიცადა ცალკეული კომპეტენციების შესამოწმებელი დავალებები, შემდეგ, მიღებული შედეგების ფსიქომეტრიული ანალიზისა და ექსპერტული შეფასების გათვალისწინებით, შეიქმნა ტესტურ დავალებათა ბანკი და შემუშავდა საგამოცდო ტესტის ფორმატი.

# ბიძინა ივანიშვილმა „კრედიტ სუისს“ სასამართლო დავა მოუგო

**გაერთიანებული სამეფოს საიდუმლო საბჭოს სასამართლო კომიტეტმა, რომელიც გაერთიანებული სამეფოს უზენაეს სააპელაციო სასამართლოს წარმოადგენს, ბიძინა ივანიშვილისა და შვეიცარიული ბანკის „კრედიტ სუისის“ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება გამოაქვეყნა.**

**აღნიშნული გადაწყვეტილებით, სასამართლომ ერთხმად უარყო ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ „კრედიტ სუისის“ შვილობილი კომპანიის, CS Life-ის საჩივარი ყველა საკითხზე, ზარალის შეფასების ზუსტი თარიღის დაწყების გარდა. სასამართლომ ასევე არ დააკმაყოფილა ჯვარედინი საჩივარი.**



ამგვარად, სასამართლომ ძალაში დატოვა წინა ინსტანციების გადაწყვეტილებები, რომლებიც შვეიცარიულ ბანკს ბიძინა ივანიშვილისთვის ზარალის ანაზღაურებას ავალდებულებდა. როგორც სასამართლოს მიერ გავრცელებულ პრესრელიზშია აღნიშნული, „ბანკის რჩევით, ბიძინა ივანიშვილმა 750 მილიონი დოლარის ღირებულების ფული და სხვა აქტივები 2011-2012 წლებში გადაიტანა CS Life-ში სიცოცხლის დაზღვევის ორი პოლისის პრემიების სახით. აღნიშნული აქტივები უნდა ყოფილიყო შენახული ცალკე ანგარიშზე. 2015 წელს ივანიშვილმა აღმოჩინა, რომ Credit Suisse-ის თანამშრომელი, ბანკირი პატრიკ ლესკადრონი ახორციელებდა თაღლითურ ოპერაციებს პოლისის აქტივებით.

ლესკადრონის წინააღმდეგ შვეიცარიაში დაიწყო სისხლის სამართლის გამოძიება, 2018 წლის თებერვალში ის გაასამართლეს სისხლის სამართლის დანაშაულისთვის.

მოგვიანებით, მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. 2017 წელს ივანიშვილმა, მისი ოჯახის წევრებმა და მათმა წარმომადგენელმა ორმა კომპანიამ სარჩელი შეიტანეს ბერმუდის კუნძულებზე CS Life-ის წინააღმდეგ, ხელშეკრულების დარღვევისა და ფიდუციური მოვალეობის დარღვევის ბრალდებით. 2020 წელს მათ ასევე მოითხოვეს ზარალის ანაზღაურება შეცდომაში თაღლითურად შეყვანისთვის.

აღნიშნული სარჩელები ბერმუდის სასამართლოს მთავარმა მოსამართლემ დააკმაყოფილა. სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა CS Life-ის აპელაცია ხელშეკრულების დარღვევისა და ფიდუციური მოვალეობის დარღვევის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე, თუმცა დააკმაყოფილა საჩივარი შეცდომაში შეყვანასთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილება CS Life-მა გაერთიანებული სამეფოს საიდუმლო საბჭოში გაასაჩივრა, თავის მხრივ, მოსარჩელეებმა წარადგინეს ჯვარედინი საჩივარი შეცდომაში შეყვანასთან დაკავშირებით აპელაციის უარყოფის გამო“.

# მარიამ ქვრივიშვილი: საქართველო რეგიონებს შორის ხიდია!



**ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარე საქართველო სცდება მხოლოდ შავი ზღვის სახელმწიფოს განსაზღვრებას. ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს კარიბჭეს, პარტნიორსა და ხიდს იმ რეგიონებს შორის, რომელთა მომავალიც სულ უფრო მეტად ურთიერთდაკავშირებული ხდება,** – ამის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა **მარიამ ქვრივიშვილმა** ლონდონში, გაერო-ს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ასამბლეის 34-ე სესიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მინისტრის შეფასებით, საქართველოს, როგორც საზღვაო ქვეყნის იდენტობას და კეთილდღეობას მუდმივად განსაზღვრავდა ის წყლები, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს კონტინენტებს, კულტურებსა და ეკონომიკებს.

**„საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტრაექტორია ერთმნიშვნელოვნად ძლიერია – 2021–2024 წლებში რეალური მშპ-ის საშუალო ზრდამ 9,8% შეადგინა. ეს დინამიკა 2025 წელსაც შენარჩუნდა და წლის პირველ ცხრა თვეში ეკონომიკა 7,8%-ით გაიზარდა.**

**აღნიშნულ ზრდას არსებითად განაპირობებს ტრანსპორტის, ლოჯისტიკისა და საზღვაო სექტორები, რაც ხაზს უსვამს დაკავშირებულობისა და ღირებულებათა ძლიერი ჯაჭვების როლს, როგორც ჩვენი ეკონომიკური კეთილდღეობის ფუნდამენტურ მამოძრავებელ ძალას“.**

მარიამ ქვრივიშვილის განცხადებით, საქართველო IMO-ს წევრი ქვეყნების წინაშე დგას, როგორც ერთგული პარტნიორი ერთობლივ თანამშრომლობაზე დაფუძნებული, ურთიერთდაკავშირებული და მდგრადი საზღვაო მომავლის შესაქმნელად.

# ხელი არ ახლოთ, მომწამვლელი პლასტმასია!

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, საქართველოს მთავრობამ „სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) შესახებ დამტკიცების თაობაზე“ 2022 წლის 8 ივნისის N304 დადგენილებაში ცვლილებები შეიტანა.**

**ცვლილება, რომელიც ძალაში 2026 წლის 1 იანვრიდან შევა, ითვალისწინებს სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის გარკვეული საგნების მოხმარების აკრძალვას.**

**კერძოდ, აკრძალვა ეხება პლასტმასისაგან დამზადებული ჩანგლების, დანების, კოვზების, ჩხირების, თეფშების, საწრუპების, სასმლის მოსარევების, გაფართოებული პოლისტიროლისგან (EPS) დამზადებული სასურსათო კონტეინერების და მათი თავსახურების, გაფართოებული პოლისტიროლისგან (EPS) დამზადებული ჭიქების და მათი თავსახურების წარმოებას (გარდა ექსპორტის მიზნით წარმოებისა), იმპორტსა და ბაზარზე განთავსებას.**

**ასევე იკრძალება პლასტმასისგან დამზადებული ერთჯერადი სასურსათო კონტეინერების და ჭიქების საშუალებით საზოგადოებრივი კვების ობიექტების მიერ მომხმარებლისთვის მზა სურსათის მიწოდება.**

აღსანიშნავია, რომ რეგულაცია არ ეხება პლასტმასისგან დამზადებულ ერთჯერადი გამოყენების შესაფუთ ნაკეთობებს (საგნებს), რომლებიც განკუთვნილია დაფასოებული სურსათისათვის. დადგენილება გარკვეულ გარდამავალ პერიოდს ითვალისწინებს.

პლასტმასისაგან დამზადებული ჩანგლების, დანების, კოვზების, ჩხირების, თეფშების, საწრუპების, სასმლის მოსარევების, გაფართოებული, პოლისტიროლისგან (EPS) დამზადებული სასურსათო კონტეინერების და მათი თავსახურების, გაფართოებული პოლისტიროლისგან (EPS) დამზადებული ჭიქების და მათი თავსახურების, რომლებიც განთავსებულია ბაზარზე ამ დადგენილების ამოქმედებამდე, დასაშვებია ბაზარზე განთავსებული იყოს დადგენილების ამოქმედებიდან სამი თვის განმავლობაში.

ასევე, პლასტმასისგან დამზადებული ერთჯერადი სასურსათო კონტეინერების და ჭიქების საშუალებით საზოგადოებრივი კვების ობიექტების მიერ მომხმარებლისთვის მზა სურსათის მიწოდება შესაძლებელია დადგენილების ამოქმედებიდან (2026 წლის 1 იანვრიდან) ექვსი თვის განმავლობაში. კონტროლს ტექნიკური რეგლამენტის ცვლილებების შესრულებაზე, კომპეტენციის ფარგლებში, სურსათის ეროვნული სააგენტო, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი და საქართველო ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური განახორციელებენ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ **არ იკრძალება პლასტმასის ზემოთ ჩამოთვლილი საგნების წარმოება ექსპორტის მიზნით. მწარმოებელი, რომელიც სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის საგნებს ამზადებს ექსპორტის მიზნით, ვალდებულია, წარმოების დაწყებამდე ერთი თვით ადრე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებას – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს წერილობით აცნობოს როგორც წარმოების დაწყების, ასევე, დამთავრების ვადების, დასამზადებელი ნაკეთობების (საგნები) რაოდენობის, საექსპორტო ქვეყნებისა და ექსპორტის განხორციელების ვადების შესახებ.**

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აღნიშნული ინიციატივა პლასტიკის გამოყენების რეგულაციასთან დაკავშირებით აქტიურად განიხილება შესაბამის ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან და ყველა დაინტერესებულ მხარესთან. შეჯერებული პოზიციებით ეტაპობრივად მოხდება პლასტიკის გამოყენების შემცირება.**



# „უკრაინის პროექტის“ გვამი ევროპას!

## „სამშვიდობო გეგმა“ ფანტასტიკის სფეროდანაა!



**ევროპის „სამშვიდობო გეგმა“ წმინდა წყლის ფანტასტიკაა: შეუზღუდავი უკრაინული არმია, NATO-ს ფართოდ გახსნილი კარი, მოწვეული უცხოური ჯარები, სანქციები, რომლებიც საახალწლო ნათურებივით ინთება და ქრება — და არცერთი ინჩი ტერიტორიის დათმობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ზუსტად ის გეგმაა, რომელმაც ომი გამოიწვია... თუმცა ახლა ისეა შეფუთული, თითქოს ომის დასრულების გზა იყოს. და მაინც, ევროკავშირის არცერთ ლიდერს არ აქვს გამბედაობა, ეს ტრამპს პირადად უთხრან.**

**ევროპელებმა საბოლოოდ „კონკურენტი გეგმა“ დადეს მაგიდაზე, რომელიც დიპლომატიის საფარქვეშ შენიღბულ თვითმკვლელობის პაქტს ჰგავს. ეს არ არის მშვიდობის საგზაო რუკა, ეს ყველაზე საშიში პოლიტიკური ფიქციაა ერაყის მასობრივი განადგურების იარაღის (WMD) დოსიეს შემდეგ. ის ომის დასასრულებლად არ შექმნილა. ის ომის ხელახლა გასაჩაღებლად შეიქმნა იმ ტექნოკრატების მიერ, რომლებსაც არასდროს უნახავთ სანგარი, არასდროს დაუსაფლავებიათ შვილი, მაგრამ ახლა პრეტენზია აქვთ გადახაზონ ბრძოლის ველი, რომელზეც არასდროს უბრძოლიათ.**

ეს გეგმა უკრაინის ნარჩენებსაც გაანადგურებს და ევროპას მუდმივ არასტაბილურობაში, თუ არა პირდაპირ ომში, ჩაძირავს. ურსულა ფონ დერ ლაიენმა ფაქტობრივად აღიარა ეს: არანაირი ტერიტორიული დათმობა, არანაირი შეზღუდვა უკრაინის არმიაზე, არანაირი ნეიტრალიტეტი, არანაირი შეზღუდვა NATO-ში გაწევრიანებაზე, მოწვეული უცხოური ჯარები და ავტომატური სანქციები, რომლებიც მაშინვე ამოქმედდება, როგორც კი რუსეთს ფეხი დაუცდება. და რატომღაც, ევროკავშირი, რომელმაც ყველა წარსული სამშვიდობო ინიციატივა საბოტაჟით ჩაშალა, დაჟინებით მოითხოვს, რომ მას „ცენტრალური“ როლი ჰქონდეს მშვიდობის პროცესში.

**ეს არ არის სამშვიდობო გეგმა. ეს მაქსიმალისტური ომის დოქტრინაა, დაწერილი იმ ბიუროკრატების მიერ, რომლებიც არასდროს დაზარალდებიან შედეგებით.**

**ყველაზე ნიშანდობლივი ნაწილი ის კი არ არის, რა წერია გეგმაში, არამედ ის, თუ როგორ მიაწოდეს იგი. არცერთ ევროპელ ლიდერს არ გაუბედავს ტრამპისთვის მისი პირადად წარდგენა. მათ ის „ტელეგრაფით“ გაავრცელეს.**

ჟენევაში ისე გაიქცნენ, როგორც შეშფოთებული სტაჟიორები, რომლებსაც იმედი აქვთ, რომ ბოსის ხელმოწერის შემდეგ საბოლოო ასლის რედაქტირებას შეძლებენ. მათ სურთ დაუმორჩილებლები გამოჩნდნენ, მაგრამ პრაქტიკაში დამყოლები არიან და სწორედ ამიტომ გამორიცხა ვაშინგტონმა ისინი რეალური მოლაპარაკებებიდან.

**მოდით, ჩავშალოთ: ევროპა დაჟინებით მოითხოვს, რომ უკრაინას, მასობრივი მობილიზაციის წინააღმდეგობის, სავალდებულო გაწვევის გზებისა და მოსახლეობის კოლაფსის მიუხედავად, არმიის ყოლის თავისუფლება ჰქონდეს. მათ სურთ, NATO-ს კარი ფართოდ გაიღოს და უგულებელყოფენ იმ ფაქტს, რომ სწორედ ამან გამოიწვია ომი. მათ სურთ, ბრიტანელი, ფრანგი და პოლონელი ჯარისკაცები ღიად მოქმედებდნენ უკრაინაში, რაც მოსკოვს ესკალაციისკენ უბიძგებს. ბრძოლის ველზე არსებული რეალობის არავითარი აღიარება. არანაირი კონსტიტუციური ნეიტრალიტეტი.**

**მოკლედ: იგივე პირობები, რომლებმაც ომი შექმნეს, ახლა მშვიდობის პირობების სახელითაა შეფუთული.**

ისინი რუსეთის ცალმხრივად, ავტომატურად, პოლიტიკური იმპულსით სანქცირების უფლებასაც კი ითხოვენ. ეს არ არის დიპლომატია, ეს არის ლეგალური საბოტაჟი, რომელიც გარანტიებადაა შენიღბული. დასავლეთი არღვევს ცეცხლის შეწყვეტას, შემდეგ კი რუსეთს ადანაშაულებს საპასუხო მოქმედებებში.

**შევადაროთ ეს ტრამპის გეგმას. რუსეთი მას „კარგ საფუძველს“ უწოდებს. არა გადაწყვეტილებას. არა დანებებას. არამედ საფუძველს. სტრატეგიული ენა. ამასობაში, ევროპა ქმნის ისტერიკას, რომელიც შეთანხმების სამოსშია გამოწყობილი და ამას მორალურ სიცხადეს უწოდებს.**

**რატომ? – იმიტომ, რომ მათ ეშინიათ. თუ ტრამპი თავის გეგმას გაიტანს, მათ უბრალოდ „პროექტ უკრაინის“ გვამი დარჩებათ. ვალები. მიგრაცია. ეკონომიკური ნგრევა. სირცხვილი. და დანაშაული იმ ქვეყნის განადგურებაში შეტანილი წვლილისთვის, რომლის დაცვასაც აცხადებდნენ.**

**ამიტომ ამბობენ „შემსუბუქებას“, და არა „არა“-ს. ამიტომ ავრცელებენ ჩუმად ინფორმაციას და ლიდერისთვის დამახასიათებელ გამბედაობას ვერ იჩენენ. ამიტომაც ეწევიან მორალიზაციის კამპანიას და არ აწარმოებენ მოლაპარაკებებს. „შემსუბუქება“ არის სიტყვა, რომელსაც მონა იყენებს, როცა თავის ბატონს დაქვემდებარების პირობების გადახედვას სთხოვს.**

წარმოიდგინეთ: თითქმის მთელი კონტინენტი დაქვეითდა იმ დონემდე, რომ საკუთარ ნეკროლოგში უფრო რბილი ენის ლობირებას ცდილობს. და რა დაემართება უკრაინას? მათ მშვიდობას არ სთავაზობენ. ამ გეგმას მის გვამს აკრავენ და უბრძანებენ, იაროს!.. ეუბნებიან, რომ აღადგინოს ქვეყანა იმ კაცებით, რომლებიც აღარ ჰყავს. ეუბნებიან, რომ დაიცავენ მოკავშირეები, რომლებმაც უკვე დაგმეს იგი და ახლა გამბედაობაც კი არ აქვთ, იმ ერთადერთ კაცს დაუპირისპირდნენ, რომელიც რეალურად ცდილობს ომის დასრულებას.

**ეს არ არის გეგმა. ეს არის გაყინული კონფლიქტის, რემილიტარიზებული უკრაინის, ხელახლა მობილიზებული NATO-სა და რუსეთთან მუდმივი დაპირისპირების გარანტია. არანაირი ავტონომია ევროპისთვის. არანაირი სუვერენიტეტი უკრაინისთვის. არანაირი მშვიდობა არავისთვის.**

**ისტორიამ ევროპას მაგიდასთან ადგილი შესთავაზა. მან აირჩია, რომ დამჯდარიყო. ბრძანებით. და ილაპარაკებს მაშინ, როცა ეტყვიან...**




## თამარ ჩერგოლეიშვილი: ილუზიებში აცხოვრებენ მიშა-უბედურს!



**20 „ნაცი“ იდგა სააკაშვილის ციხესთან 23 ნოემბერს, მართლა 20 კაცი იდგა, ილუზიებში აცხოვრებენ იმ უბედურს,** – ამის შესახებ პარტია „ფედერალისტების“ ლიდერი **თამარ ჩერგოლეიშვილი** წერს.

მისი თქმით, პეტრე ცისკარიშვილს სააკაშვილზე პარაზიტირება უნდა და, რომ უთხრას, ხალხი აღარ გყავსო, ის შერისხავს.

**„მართლა 20 კაცი იდგა. აი, მართლა! მართლა! პეტრეს მიშაზე პარაზიტირება უნდა და, რომ უთხრას, ხალხი აღარ გყავსო, ის შერისხავს. ასე ჩამოათრიეს აქ და ჩააგდეს ბიძინას დილეგში, ატყუებდნენ, რომ 100 ათასი ქართველი ხმალს იშიშვლებს მის გამო. სიმართლე რომ ეთქვათ, მისით ვეღარ ისარგებლებდნენ“,...**

ცნობისთვის, „კოალიცია ცვლილებისთვის“ წევრმა **ნიკა მელიამ** სასამართლო სხდომაზე განაცხადა: **„თავისუფალ ცურვაში უნდა გადავეშვათ ყველა პოლიტიკოსი, ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა ივანიშვილზე გაყიდული და გარიგებული მიწოდა, ასეთ ადამიანებთან ერთ სივრცეში ვერ ვიქნები“.** მელია ერთ-ერთ პოლიტიკოსში მიხეილ სააკაშვილს გულისხმობდა.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრის **პეტრე ცისკარიშვილის** განცხადებით, **ნებისმიერ ფორმატში, ნებისმიერ მომავალ, თავისუფალ და სამართლიან საარჩევნო გარემოში სააკაშვილი ითამაშებს საკვანძო როლს!..**



# საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის განცხადება

## საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემია მიენიჭათ:

1. **ლევან ყანჩაველის სახელობის პრემია** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს **გურამ ალექსიძეს** წიგნისათვის **„მცენარეთა დაცვა“.**

2. **ვარლამ შამათავას სახელობის პრემია** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს **გურამ ტყემალაძეს** სახელმძღვანელოსათვის **„ბიოქიმიის საფუძვლები“** და ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორ **ლევან მაკარაძეს** და ვეტერინარიის დოქტორ **ზურაბ მაკარაძეს** სახელმძღვანელოსათვის **„ცხოველისა და ფრინველის დაავადებების პათოლოგიური ანატომია“.**

3. **კონსტანტინე ამირაჯიბის სახელობის პრემია** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორ **ომარ თედორაძეს** და ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორ **ნუგზარ სარჯველაძეს** მონოგრაფიისათვის **„მარცვლეული და ბალახეული კულტურების ამღები მანქანების გაანგარიშების და კონსტრუირების საფუძვლები“** და ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორ **ზაზა მახარობლიძეს** და **ტექნიკის დოქტორებს:** ვლადიმერ მარგველაშვილს და სერგო შარაშენიძეს ნაშრომთა ციკლისათვის: **„სასოფლო-სამეურნეო მიწების რეაბილიტაციის სამანქანო ტექნოლოგიისა და მანქანათა კომპლექსის დამუშავება“.**

4. **ვასილ პეტრიაშვილის სახელობის პრემია** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს **ნუგზარ ბაღათურიას** მისი საერთო რედაქციით და ავტორობით, ავტორთა ჯგუფთან ერთად შესრულებულ დამხმარე სახელმძღვანელოსათვის **„კვების პროდუქტების ტექნოლოგია“** და ტექნიკის დოქტორ **თამაზ კობაიძეს** ნაშრომისათვის **„მევენახეობა-მეღვინეობის ენციკლოპედიური ლექსიკონი“.**

5. **მიხეილ მურვანიშვილის სახელობის პრემია** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორ **გიზო გოგიჩაიშვილს** მონოგრაფიაში „საქართველოს ნიადაგები“ წარმოდგენილი თავებისათვის: **„მიწის გამოყენება“ და „ნიადაგის ეროზია“.**

6. **ივანე ჯაშის სახელობის პრემია** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებს: რევაზ ასათიანს და პაატა კოღუაშვილს (გარდაცვალების მერე) წიგნისათვის **„ინდუსტრიული სოფელი – მომავლის გლობალური გამოწვევა“.**

# პოლიციის აკადემია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გახდება



**შესაბამისი ცვლილებები „პოლიციის შესახებ“ კანონში შედის. კანონპროექტში აღნიშნულია, რომ აკადემიისთვის საპოლიციო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭება ხელს შეუწყობს საპოლიციო საქმის, როგორც პროფესიის პოპულარიზაციას, აკადემიური პოლიციური კადრების ფორმირებას, პოლიციის საქმიანობის ეფექტიანობის ზრდას, პოლიციის საზოგადოებაზე ორიენტირებულობის გაძლიერებასა და საპოლიციო საქმიანობაზე ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას.**

პროექტში ნათქვამია, რომ პოლიციის აკადემია სამართლებრივი და პროფესიული კომპეტენციების მქონე პოლიციის კადრების მომზადების მიზნით, განახორციელებს საპოლიციო უმაღლეს აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებს.

პროექტით განისაზღვრება უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესი და პირობები. კერძოდ, კანონპროექტის მიხედვით, დასახელებულ პროგრამაზე მიიღება პირი, რომელიც დააკმაყოფილებს პოლიციაში სამუშაოდ მიღებისთვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, გაივლის შემოწმებას და წარმატებით ჩააბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებს.

პროექტში ნათქვამია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი იქნება – ფიზიკური, ტაქტიკური და საცეცხლე მომზადება, აგრეთვე სავალდებულო სპეციალური სასწავლო საგნები საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და საპოლიციო საქმიანობის შესწავლისთვის, აღნიშნული მიზნით კი პოლიციის აკადემია უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო საიდუმლოებაზე სტუდენტის დაშვებას. კანონპროექტში აღნიშნულია, რომ პოლიციის აკადემიის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთანავე სტუდენტს მიენიჭება უმცროსი სპეციალური წოდება – რიგითი, ხოლო კურსდამთავრებულს საშუალო სპეციალური წოდება – ლეიტენანტი.

პროექტის მიხედვით, პოლიციის აკადემიაში სწავლის პერიოდი სტუდენტს კალენდარულ წელთა ნამსახურობაში ჩაეთვლება. მთავრობის განმარტებით, სტუდენტთა მიღება პოლიციის აკადემიაში დაგეგმილია 2027 წლის სექტემბრიდან. მათი ცნობით, პოლიციის აკადემიაში მიღებული იქნება 44 სტუდენტი, რომლებიც სწავლის საფასურს არ გადაიხდიან და უზრუნველყოფილნი იქნებიან სწავლისთვის საჭირო ინვენტარით, მასალით, კვებით, შესაბამისი უნიფორმით, წახალისების საშუალებებითა და სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევით, ასევე, სწავლის პერიოდში სტუდენტი, შესაძლებელია, უზრუნველყოფილი იყოს საერთო საცხოვრებლით.

# აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ღვაწლისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი თსუ-ში



**„ეთნოლოგია არა მხოლოდ მეცნიერებაა, ეს არის ჩვენი ისტორიული მეხსიერების, იდენტობისა და ყოველდღიური ყოფის პულსაცია“,** – აღნიშნა თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა **ჯაბა სამუშიამ.** მან ასევე ისაუბრა ჩიტაიას როლზე ეთნოლოგიის განვითარებაში და ახალი თაობის მკვლევართა ჩართულობის მნიშვნელობაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციით, სიმპოზიუმზე წარმოდგენილი იყო მრავალფეროვანი თემები – ქართული ეპიგრაფიკა, ხალხური რიტუალები, ეთნოკულტურული პეიზაჟის ტრანსფორმაცია და სხვა. სიმპოზიუმზე თსუ-ის რექტორმა უნივერსიტეტის ოქროს მედლით დააჯილდოვა პროფესორი, ეთნოლოგი **იოსებ (სოსო) კვიციანი** მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისათვის.

ღონისძიებას ესწრებოდნენ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი დარეჯან თვალთვაძე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე ბაია კვიციანი, საქართველოს პარლამენტის წევრი **ნინო წილოსანი,** სტუდენტები და პროფესორები.

# მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორი: ქვეყანა ძალიან მდგრადია შოკების მიმართ



**საქართველოს ინვესტიციების მხრივ ძალიან კარგი შედეგები აქვს. თუმცა, ვფიქრობ, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით კიდევ ბევრი რამის გაკეთებაა შესაძლებელი,** – განაცხადა სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა **როლანდე პრაისმა.** მისივე თქმით, საშუალოშემოსავლიანი ქვეყნიდან მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნის სტატუსის მისაღებად საჭიროა ინვესტიციები, ტექნოლოგიების განვითარება და ინოვაციები.

**„ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა. ის ასევე ძალიან მდგრადია შოკების მიმართ. ეს ანგარიში განიხილავს, თუ რა სჭირდებათ ქვეყნებს, რათა საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნიდან გახდნენ მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყანა. ძალიან ცოტა სახელმწიფომ მოახერხა ეს 34 წლის განმავლობაში, მხოლოდ 34-მა ქვეყანამ. საქართველოში ბევრი რამ არის გასაკეთებელი მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილების შექმნის კუთხითაც. ვფიქრობ, საქართველოს ინვესტიციების მხრივ ძალიან კარგი შედეგები აქვს. თუმცა, ვფიქრობ, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეგიძლიათ“...**

საქართველო – მაღალი შემოსავლისკენ ზრდა, – ამ სახელწოდებით მსოფლიო ბანკმა თბილისში საჯარო ღონისძიება გამართა, რომელსაც ეკონომიკური წრეებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

# საქსტატი – სოფლის მეურნეობის პროდუქცია წლიურად 11.3 პროცენტით გაძვირდა!

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთეულის ღირებულების ინდექსი, წინა კვარტალთან შედარებით 2.4 პროცენტით შემცირდა.**

საქსტატის ცნობით, აღნიშნული ცვლილება ძირითადად განპირობებული იყო ერთწლოვანი კულტურების ღირებულების 24.2 პროცენტიანი კლებით, რამაც შესაბამისად, – 6.1 პროცენტული პუნქტი შეიტანა ჯამური ინდექსის ცვლილებაში.

**„წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთეულის ღირებულების ინდექსი გაიზარდა 11.3 პროცენტით. ინდექსის ზრდა ძირითადად გამოწვეული იყო ცოცხალი ცხოველების და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ღირებულების 9.3-პროცენტიანი მატებით, რაც 5.19 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ცვლილებაზე. ამავე პერიოდში მრავალწლოვანი კულტურების ღირებულება 9.4 პროცენტით, ხოლო ერთწლოვანი კულტურების ღირებულება 23.2 პროცენტით გაიზარდა, რამაც შესაბამისად, 2.13 და 3.98 პროცენტული პუნქტი შეიტანა ჯამური ინდექსის ცვლილებაში“,** – აღნიშნულია საქსტატის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში.





# ევროპა ისევ საკუთარ უსაფრთხოებაზე ჩივის!

## მსოფლიო ომის დასრულების მოლოდინშია, თუ!..

**რეჯეფ თაიფ ერდოღანი ამ კვირაში უკრაინის პრეზიდენტს უმასპინძლებს. ვოლოდიმირ ზელენსკის ანკარაში ვიზიტამდე, თურქეთის პრეზიდენტსა და ვლადიმერ პუტინს შორის სატელეფონო საუბარი შედგება. პირველი პირები რუსეთ-უკრაინის ომს დეტალურად განიხილავენ. რეჯეფ თაიფ ერდოღანი აცხადებს, რომ მშვიდობის მისაღწევად ყველაფერს გააკეთებენ. აშშ-ის მიერ მომზადებული „სამშვიდობო გეგმის“ საბოლოო დეტალების დასაზუსტებლად ჟენევაში იმყოფებიან მარკო რუბიო და სტივ უიტკოფი.**

**შვეიცარიაში „სამშვიდობო გეგმაზე“ მოლაპარაკებებში მონაწილეობას აშშ-ის, უკრაინის, გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ევროკავშირისა და იტალიის წარმომადგენლები მიიღებენ. აშშ-ის დელეგაციას არმიის მდივანი დენ დრისკოლი, პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი სტივ უიტკოფი და სახელმწიფო მდივანი მარკო რუბიო წარმოადგენენ.**

**უკრაინის დელეგაციას ვოლოდიმირ ზელენსკის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ანდრეი ერმაკი ხელმძღვანელობს. ასევე, ზელენსკის ბრძანებით დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს მდივანი რუსტემ უმეროვი და მისი მოადგილე ევგენი ოსტრიანსკი, დაზვერვის მთავარი სამმართველოს უფროსი კირილო ბუდანოვი, გენერალური შტაბის უფროსი ანდრეი გნატოვი, საგარეო დაზვერვის სამსახურის უფროსი ოლეგ ივაშენკო, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე სერგეი კისლიცა, უკრაინის უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილე ალექსანდრ პოკლადი და ერმაკის მრჩეველი ალექსანდრ ბევზი.**

უკრაინის საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი **კიტ კელოგი** ფიქრობს, რომ რუსეთი სამშვიდობო გეგმაში ცვლილებების შეტანას მოითხოვს. მისი თქმით, გეგმაში ასევე არის პუნქტი უკრაინაში არჩევნების ჩატარებაზე და ეს მნიშვნელოვანია.

**„პუტინი ცვლილებების შეტანას მოითხოვს. ვფიქრობ, რუსეთი მოთხოვნებს წამოაყენებს და დოკუმენტში ცვლილებების შეტანას მოითხოვს. გეგმაში არის პუნქტი, რომელიც მნიშვნელოვანია და ამბობს, რომ არჩევნები ჩატარდება. საკმაოდ მკაფიოდ წერია, რომ უკრაინამ არჩევნები 100 დღის განმავლობაში უნდა ჩაატაროს. იმ ადამიანებზე დაყრდნობით, რომლებსაც მე ვესაუბრე, ამის გაკეთება 90 დღის განმავლობაშიც შეიძლება. ვფიქრობ, არჩევნები უნდა ჩაატარონ, რადგან ეს უკრაინელ ხალხსა და თავისუფალ სამყაროს დაარწმუნებს. ეს გეგმის ერთ-ერთი პირობაა“,** – აღნიშნა **კიტ კელოგმა.**

აშშ-ის პრეზიდენტი კი უკრაინის ხელმძღვანელობის მიმართ უფრო ხისტი ხდება და აცხადებს, რომ უკრაინის „ხელმძღვანელობას“ ამერიკის ძალისხმევისთვის მადლიერება არ გამოუხატავს და ევროპა რუსეთიდან ნავთობის ყიდვას აგრძელებს. **დონალდ ტრამპი** აცხადებს, რომ ეს ომი აშშ-ისა და უკრაინის ძლიერი და შესაფერისი ხელმძღვანელობის პირობებში, არასდროს მოხდებოდა.

„რუსეთსა და უკრაინას შორის ომი ძალადობრივი და საშინელია, რომელიც აშშ-ისა და უკრაინის ძლიერი და შესაფერისი ხელმძღვანელობის პირობებში, არასდროს მოხდებოდა. ეს იქამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო, ვიდრე მე თანამდებობას მეორე ვადით დავიკავებდი, „მძინარე“ ჯო ბაიდენის ადმინისტრაციის დროს და შემდეგ კიდევ უფრო გაუარესდა. 2020 წლის არჩევნები რომ არ გაყალბებულიყო, უკრაინა-რუსეთის ომი არ მოხდებოდა. პუტინი თავდასხმას არასდროს განახორციელებდა.

აშშ-ის პრეზიდენტის მტკიცე და ხისტი პოზიცია კი ადასტურებს, რომ ზელენსკი, რომელსაც ბაიდენის ადმინისტრაცია და დასავლელი ლიდერები 21-ე საუკუნის ჩერჩილს უწოდებდნენ, პოლიტიკურ მოღვაწეობას ისე ასრულებს, რომ ისტორიაში შევა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი მმართველი, რომელმაც პრეზიდენტად არჩევიდან ძალიან მალე, ქვეყანა ჩართო ომში, სადაც არ იყო უკრაინის სახელმწიფო ინტერესები. ომი, რომელიც იმართებოდა გარედან და ომი, რომელმაც ზელენსკისა და მის გარემოცვას მოუტანა მილიონები.

წაგებულ ომს ემატება კორუფციული სკანდალი და როგორც უკრაინელი ბლოგერები აცხადებენ, მოქმედ პრეზიდენტს ფრონტის ხაზიდან სამხედროები ემუქრებიან. ასე, რომ ზელენსკი, რომელსაც რუსეთ-უკრაინის ფრონტის პარალელურად, პოლიტიკური ომი ჰქონდა საქართველოსთან, პოლიტიკურ კარიერას ასრულებს ყველაზე სამარცხვინოდ. უკრაინის პრეზიდენტი, რომელიც მოღვაწეობის დღეებს ითვლის, აცხადებს, რომ მადლიერები არიან ყველაფრისთვის, რასაც ამერიკა და პრეზიდენტი ტრამპი აკეთებენ უსაფრთხოებისთვის. მისი თქმით, აგრძელებენ მუშაობას, რაც შეიძლება კონსტრუქციულად.

ტრამპის გეგმით შეშფოთებული ევროკომისიის პრეზიდენტი **ურსულა ფონ დერ ლაიენი** აცხადებს, რომ არ შეიძლება უკრაინის საზღვრები ძალით შეიცვალოს ან მისი არმიის რაოდენობა შემცირდეს. მისი თქმით, ევროპელი ლიდერები სამართლიანი და ხანგრძლივი მშვიდობისა და ასევე, უკრაინის სუვერენიტეტისთვის აუცილებელ ძირითად ელემენტებზე შეთანხმდნენ.

**„მინდა, სამი მათგანი აღვნიშნო: პირველი – არ შეიძლება საზღვრები ძალით შეიცვალოს; მეორე – არ შეიძლება სუვერენული სახელმწიფოს, უკრაინის შეიარაღებული ძალების რაოდენობაზე შეზღუდვები დაწესდეს, რაც ქვეყანას მომავალი თავდასხმების წინაშე დაუცველს გახდის და შესაბამისად, ევროპის უსაფრთხოებასაც ძირს გამოუთხრის; მესამე – უკრაინისთვის მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში ევროკავშირის ცენტრალური როლი სრულად უნდა აისახოს. უკრაინას თავისი მომავლის ასარჩევად თავისუფლება და სუვერენული უფლება უნდა ჰქონდეს. მათ ევროპული მომავალი აირჩიეს“,** – აღნიშნა ევროკომისიის პრეზიდენტმა.

* * *

**საფრანგეთის პირველი პირი თვლის, რომ 28-პუნქტიან წინადადებას განმტკიცება სჭირდება და არ შეიძლება, საზღვრები ძალის გამოყენებით შეიცვალოს. უკრაინა დაუცველი არასდროს უნდა დარჩეს. ემანუელ მაკრონი აცხადებს, რომ მოკავშირეებთან ერთად, უკრაინასთან და აშშ-თან მჭიდრო კოორდინაციას გააგრძელებს.**

„ჩვენ, ევროპელ და „დიდი შვიდეულის“ პარტნიორებთან ერთად, უკრაინაში მშვიდობის მისაღწევად აშშ-ის ძალისხმევას მივესალმებით. ეს ერთ რამეს ადასტურებს – მშვიდობა ყველას სურს რუსეთის გარდა, რომელიც უკრაინის დაბომბვას აგრძელებს. 28-პუნქტიანი წინადადება უნდა განმტკიცდეს.

**გერმანიის** კანცლერი კი გადაჭრით აცხადებს, რომ ომის დასრულება შეიძლება მხოლოდ უკრაინისა და ევროპის თანხმობით. უკრაინა თუ წააგებს ამ ომს, ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა ბოლომდე ჩამოიშალოს, ეს გავლენას მოახდენს ევროპის კონტინენტზე.

**„ომი მხოლოდ იმ შემთხვევაში დასრულდება, თუ უკრაინა მისცემს თავის უპირობო თანხმობას. ეს არის ომი, რომლის დასრულება შეიძლება მხოლოდ უკრაინის თანხმობით და ასევე, ჩვენი, ევროპის თანხმობით, რადგან ეს ომი ევროპის კონტინენტზეა. თუ როგორ დასრულდება ომი, ეს გავლენას მოახდენს ევროპის უსაფრთხოებაზე. უკრაინა თუ წააგებს ამ ომს, ეს გავლენას მოახდენს ევროპულ პოლიტიკაზე მთლიანობაში, მთელ ევროპულ კონტინენტზე. სწორედ ამიტომ ვართ ერთგულნი ამ საკითხის მიმართ, რადგან მშვიდობის დამყარების შანსი თუ არსებობს, ეს ასევე გავლენას მოახდენს მთელ ევროპულ კონტინენტზე. მე სწორედ ეს პოზიცია გავაცანი დონალდ ტრამპს“,** – განაცხადა **ფრიდრიხ მერცმა.**

* * *

**ევროპა ახლა საკუთარ უსაფრთხოებაზე ჩივის და შესაბამისად, მის ინტერესშია, რაც შეიძლება გაიწელოს რუსეთ-უკრაინის ომი, რასაც აშშ ეწინააღმდეგება და სამშვიდობო პროცესიდან გათიშა ევროპა, როგორც ომის ლობისტი.**

ანალიტიკოსი, „ხალხის ძალის“ წევრი **დავით ქართველიშვილის** განცხადებით, ღია და სანდო წყაროების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ 28-პუნქტიანი სამშვიდობო გეგმა აშშ-ის ადმინისტრაციის მიერაა შემუშავებული და მარკო რუბიო ამას საჯაროდ ადასტურებს.

**„აი, რა თქვა თავად მარკო რუბიომ: „სამშვიდობო წინადადება შემუშავებულია აშშ-ის მიერ. იგი ეფუძნება რუსეთისგან მიღებულ შეხედულებებს, მაგრამ, ასევე, უკრაინის მხრიდან წარსულსა და მიმდინარე კონსულტაციებს“ (Reuters). ეს ფრაზა გადამწყვეტია: რუბიო ცალსახად აცხადებს, რომ გეგმა აშშ-ის ადმინისტრაციის პროდუქტია და არა მოსკოვის „გადაგზავნილი“, თუ მის მიერ „ჩადებული“ დოკუმენტი. მისი სიტყვები მთლიანად ემთხვევა თეთრი სახლისა და სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ ხაზს, რომლებიც სენატორთა ბრალდებებს „სიცრუეს“ უწოდებენ“.**

* * *

**RUSSIAN WISH LIST-ზე ვერსია გაჩნდა კულისებში გამართული შეხვედრების შედეგად, საიდანაც რამდენიმე სენატორმა (ტრამპის ოპოზიციამ) ჟურნალისტებს უთხრა, რომ რუბიომ ეს გეგმა თითქოსდა „რუსეთის სურვილების სიად“ მოიხსენია.**

ეს განცხადებები კი ეფუძნება მხოლოდ ზეპირ მონათხრობს, არ არსებობს მისი დამამტკიცებელი არც ჩანაწერი, არც სტენოგრამა – თავად რუბიომ საჯაროდ უარყო ასეთი ინტერპრეტაცია. შედეგად, სენატორთა ვერსიას „ქართველი ჟურნალისტის“ გარდა, არცერთი დადასტურებული წყარო არ ამყარებს – მოყვანილია მხოლოდ „კერძო საუბრის“ სუბიექტური აღწერა, რომლის შინაარსის შემოწმება შეუძლებელია“, – აცხადებს ანალიტიკოსი.

მისი თქმით, ვაშინგტონის პოლიტიკური გარემო ამ ბინძურ ისტორიას დამატებით ელფერს აძლევს. სენატორები, რომლებმაც „რუსული სურვილების სიაზე“ დაიწყეს საუბარი, ცნობილნი არიან როგორც ტრამპის უკრაინული კურსის კრიტიკოსები და მათთვის ხელსაყრელია გეგმის წარმოჩენა, როგორც „კრემლის ნაკარნახევი“, რათა დარტყმა მიაყენონ თეთრ სახლს და ტრამპი რუსეთზე დამოკიდებულ ფიგურად წარმოაჩინონ...

ანალიტიკოსის **ზაალ ანჯაფარიძის** განცხადებით, ინფორმაციული კონფლიქტების და ხშირად ხელოვნურად შექმნილის ეპოქაში, უკვე რთულია ენდო, თუნდაც ავტორიტეტულად აღიარებულ წყაროებს. ამიტომაც, მისი თქმით, პირობითად ენდობა The Financial Times ინფორმაციას, რომ დონალდ ტრამპის კიევში ჩასულმა ემისარმა, ზელენსკის ხელისუფლებას ულტიმატუმის ფორმით მოსთხოვა, მომავალ ხუთშაბათამდე ხელი მოაწეროს ტრამპის „სამშვიდობო გეგმას“.

**„ამავე დროს, მეტ-ნაკლებად ვენდობი გამოცემის იმ ინფორმაციას, რომ 21 ნოემბერს, კიევში, აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ჯული დევისის რეზიდენციაში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც ევროკავშირის ქვეყნების ელჩებიც ესწრებოდნენ, აშშ-ის არმიის მინისტრმა, ვეტერანმა სამხედრომ დენიელ დრისკოლმა, ევროკავშირის ქვეყნების ელჩებსა და ოფიციალურ პირებს განუცხადა, აშშ მათთან ცერემონიებს არ აპირებდა და ბევრი უცენზურო გამოთქმაც გამოიყენა. მისი გზავნილი იყო, ფაქტობრივად, ტრამპის გზავნილი –- „მშვიდობისთვის ცოტა დრო გვაქვს, პრეზიდენტ ტრამპს ახლა მშვიდობა სურს. რაც უფრო მეტი მზარეულია სამზარეულოში, მით უფრო რთულია ამის მიღწევა“ – ციტირებს ერთ-ერთი წყარო არმიის მინისტრის სიტყვებს“,** – აცხადებს **ზაალ ანჯაფარიძე.**

მოამზადა
თამთა ქარჩავამ

ჟურნალისტების თვალსაწიერი

**„ტრამპმა პუტინის დამახინჯებული ფსიქოლოგია ვერ გაიგო. დადგა მომენტი, რომ ევროპელმა ლიდერებმა თავიანთი ნება გამოხატონ“** – ასეთი სათაურით არის გამოქვეყნებული ბრიტანულ გაზეთ **„დეილი ტელეგრაფში“** (The Daily Telegraph) სტატია, რომლის ავტორია ანალიტიკოსი ჰემიშ ბრეტონ-გორდონი. პუბლიკაციაში კრიტიკულად არის მიმოხილული დონალდ ტრამპის ლოიალური პოლიტიკური კურსი რუსეთის მიმართ. **„ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ როგორ ახდენს გავლენას კრემლის ტირანი თეთრი სახლის მეთაურზე, მაგრამ ახლა სწორედ მომენტია, რომ ევროპელმა .ლიდერებმა თავიანთი გაბედულობა დაამტკიცონ და უკრაინას გვერდით დაუდგნენ“**, – აღნიშნულია მასალაში.

**გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:**

The Telegraph

Hamish de Bretton-Gordon
Trump has failed to understand Putin’s warped psychology

This is Sir Keir Starmer’s moment, alongside other European heads of state

Hamish de Bretton-Gordon

24 November 2025 5:19pm GMT

Related Topics
Explained Ukraine war, Russia-Ukraine war, Donald Trump, Vladimir Putin, Nobel Peace Prize

561

Gift this article free



# ლოიალური ტრამპი, ტირანი პუტინი და... აფერისტი ევროპა!

**ჩვენთვის, ვინც ყურადღებით თვალს ვადევნებდით რუსეთ-უკრაინის ომს იმ დღიდან, როცა მოსკოვის ჯარები უკრაინაში შეიჭრნენ, რუსეთის ამბიციები იგივე რჩება – ვლადიმერ პუტინს იმპერიის დროინდელი დიდი რუსეთის აღდგენა სურს.**

მართალია, ომის დაწყებიდან სიტუაცია შეცვლილია, მაგრამ კრემლის ძირითადი მიზანი – უკრაინის სრული დაქვემდებარება – ჯერჯერობით არ შეცვლილა. პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა უკრაინისათვის შეთავაზებულ თავის გეგმას [რუსეთთან ერთად შემუშავებული] ერთობლივი გეგმა უწოდა, რამაც შემდეგ შემაშფოთებელი კითხვები გამოიწვია: ეს რომ უბრალოდ შემთხვევითი შეცდომა ყოფილიყო, კიდევ ჰო, მოვითმენდით, მაგრამ თუ ეს სიმართლეა, მაშინ ამერიკული მხარის მოქმედება უკრაინელი ხალხის მიმართ თავხედური გულგრილობის გამოვლენისა და ნატოს ევროპელი წევრების შეურაცხყოფის ტოლფასია.

ხმები ვრცელდება, რომ 28 პუნქტისაგან შემდგარი „დონალდ ტრამპის გეგმა“ კრემლშია შემუშავებული და რასაც ჩვენ ვხედავთ, ეს მხოლოდ რუსული ტექსტის ინგლისურად „ცუდად“ გადათარგმნილ ეგზემპლარს წარმოადგენს, რაც მის ფარულ მიზნებს ნიღბავს. და მაინც, რაც მასშია ჩაწერილი, წესიერების ყოველგვარ საზღვრებს სცილდება. ახლა, როცა დონალდ ტრამპი [ჟენევის მოლაპარაკების შემდეგ] უკან იხევს, მან, როგორც ჩანს, აღიარა, რომ აგრესორი სწორედ რუსეთია და არა უკრაინა.

მე ხშირად ვესაუბრები ჩემს კიეველ მეგობრებს და ვიცი, რომ მათ ძალიან სურთ ცეცხლის შეწყვეტა და სამშვიდობო შეთანხმების დადება, მაგრამ არა ნებისმიერ ფასად – განსაკუთრებით კი დონბასის რუსეთისათვის გადაცემის ხარჯზე. ტერიტორიის გადაცემის საკითხი, მათი თქმით, განხილვას არ ექვემდებარება. მიუხედავად ამისა, ვლადიმერ პუტინი დაბეჯითებით მოითხოვს დონბასს და აცხადებს, რომ ტერიტორიის გაყოფა აუცილებელია ნებისმიერი ზავის დადების დროს.

**ევროპელთა კონტრწინადადება, რომელსაც ჟენევის თათბირის დროს იქნა მიღწეული, გონივრულად გამოიყურება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თავდაპირველად დონალდ ტრამპი, სახელმწიფო მოღვაწისათვის შეუფერებლად, ვოლოდიმირ ზელენსკის დაემუქრა და ზუსტი დრო დაუთქვა დასათანხმებლად (27 ნოემბრამდე, რაც მოგვიანებით შეცვალა), იმის შანსი, რომ ევროპელთა ვარიანტს ვლადიმერ პუტინი დაეთანხმება, ძალიან უმნიშვნელოა. მართლაცდა, რატომ უნდა წავიდეს კრემლი კომპრომისზე, როცა თეთრი სახლი თვითონ ცდილობს კიევის პოზიციების იგნორირებას?**

დონალდ ტრამპისა და ვლადიმერ პუტინის ინტერესები სხვადასხვანაირია: აშშ-ის ლიდერს გეგმაში უფრო მატერიალური მხარე იზიდავს – სასარგებლო წიაღისეულის დამუშავება, იშვიათმიწა ელემენტებით სარგებლობა... ანუ ის, რაც ბიზნესის წყაროს წარმოადგენს. ამ დროს კი ვლადიმერ პუტინი უპირატესობას იდეოლოგიურ, პოლიტიკურ გამარჯვებასა და უკრაინის დამარცხებას ანიჭებს. გენერალ კიტ კელოგის გარეშე, რომელიც კარგად ერკვევა სამხედრო სიტუაციაში, „გულუბრყვილო“ სტივ უიტკოფთან მოლაპარაკება რუსეთისათვის მომგებიანია.

**რა თქმა უნდა, თავის მხრივ, სახელმწიფო მდივანი მარკო რუბიო ცდილობს უკრაინას რაღაცით დაეხმაროს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ MAGA-ს მომხრე ბევრი საკვანძო ფიგურები, როგორც ჩანს, რუსეთისაკენ იხრებიან, მარკო რუბიოსათვის ძნელი იქნება კიევის მიმართ მხარდაჭერის გამოხატვა.**

დონალდ ტრამპი, მისთვის დამახასიათებელი ტიპიური მანერით, ახლა აცხადებს, რომ მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული, მაგრამ რეალობა ამას არ ადასტურებს. შესაძლოა რაიმე კონკრეტულად გაირკვეს დონალდ ტრამპთან იტალიისა და გერმანიის ლიდერების შეხვედრის შემდეგ. როგორც ჩანს, მომავალ კვირაში ვაშინგტონში შეიძლება ვოლოდიმირ ზელენსკიც ვიხილოთ.

საბოლოო ჯამში მთელი პასუხისმგებლობა ჩვენ, ევროპას გვეკისრება. ჩვენ ისინი ვართ, ვინც უკრაინაში სამართლიანი მშვიდობის დამყარების მომხრედ გამოვდივართ, დონალდ ტრამპი კი, ვლადიმერ პუტინის გასახარად, მხარს უჭერს მოსკოვისათვის მომგებიან გარიგებას. დონალდ ტრამპი დაინტერესებულია იმით, რომ მას ჰქონდეს შესაძლებლობა განაცხადოს მორიგი ომის დასრულების თაობაზე. აშშ-ის პრეზიდენტს აკვიატებული აქვს, რომ ნობელის სასურველი მედალი მკერდზე მიიბნიოს, მაგრამ უკრაინის შემთხვევაში მედალის მიბნევა კი არ არის მთავარი, არამედ ის, თუ რისთვის, როგორი ნაბიჯისთვის დაიმსახურა ჯილდო.

**ევროპელმა ლიდერებმა ნაბიჯები უნდა გადადგან და ვითარებაზე პასუხისმგებლობა გაბედულად უნდა აიღონ. ვლადიმერ პუტინის ყოყოჩობის მიუხედავად, მის არმიაში და ეკონომიკაში ბზარებია გაჩენილი. ჩვენ ძალა უნდა გამოვაჩინოთ და პუტინს მისივე წესებით უნდა ვეთამაშოთ.**

მიზეზები, რომლებიც აშშ-ის პრეზიდენტის ჩვენს მტერთან დაახლოებას განაპირობებს, შეიძლება ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ აშკარაა, რომ მოსკოველი ტირანი ვაშინგტონელ ლიდერზე შემაშფოთებელ გავლენას ახდენს, რასაც მათი კავშირების თაობაზე ბოლო დროს გავრცელებული ზოგიერთი ხმები ადასტურებენ.

**კირ სტარმერისათვის, ისევე როგორც სხვა ევროპელი ქვეყნების ლიდერებისათვის, დადგა დრო თავიანთი გაბედულების წარმოსაჩენად. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ კრემლს, შესაძლოა, სამხედრო ნაბიჯითაც, რომ უკრაინას გაჭირვებაში არ მივატოვებთ და კიევს სამართლიანი მშვიდობის მიღწევაში მხარს ვუჭერთ. ჩვენ არავის მივცემთ იმის უფლებას, რომ ჩვენი კონტინენტი ისევ ტირანიის ქვეშ მოაქციოს. თუმცა, რა თქმა უნდა, „ნაბან წყალს ბავშვი არ უნდა გადავაყოლოთ“, ვგულისხმობ დონალდ ტრამპს, უფრო სწორად, აშშ-ს, რომელიც სამომავლოდ აუცილებლად დაგვჭირდება.**



**მოამზადა**
**სიმონ კილაძემ.**

# ზოგი მამაკაცი ქალზე უკეთესი ქალია!

**მოდებისა და ქალთა პოპულარული საერთაშორისო ჟურნალი Glamour-ი ყოველ წელს აქვეყნებს წლის საუკეთესო ქალთა სიას, რითაც მსოფლიოში ცნობილი გამოცემა პატივს მიაგებს იმ შესანიშნავ ქალბატონებს, რომლებმაც, ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში, სხვადასხვა დარგში დიდ წარმატებას მიაღწიეს.**




მათ შორის არიან ცნობილი მეცნიერები, ათლეტები, პოლიტიკოსები, ბიზნესმენები და საზოგადო მოღვაწეები. Glamour-ის ბრიტანულმა გამოცემამ, წელს, გადაწყვიტა, წარმატებულ ქალთა ჩამონათვალში ტრანსგენდერები შეეტანა. ჟურნალმა მათ სპეციალური გამოშვება მიუძღვნა, სადაც გარეკანზე, ტრანსგენდერთა საერთო ფოტოა აღბეჭდილი. ტრანსქალებს მაისურები აცვიათ, რომელზეც აწერია Protect the Dolls – დაიცავი თოჯინები. მაისურები დიზაინერ კონერ აივზის კომპანიის ნაწარმოებია, რომელიც მიზნად ისახავს ტრანსგენდერი ქალების მხარდაჭერას მთელ მსოფლიოში მაშინ, რადგან მათი უფლებები ხშირად იზღუდება. ტრანსგენდერ ქალებს ლგბტ+საზოგადოებაში მოფერებით თოჯინებს უწოდებენ. აივზმა დიზაინი 2025 წლის თებერვალში, ლონდონის მოდის კვირეულზე წარადგინა.

მაისურების ყიდვა კი, მის ვებსაიტზეა შესაძლებელი. გაყიდვებიდან შემოსული თანხა სრულად გადაერიცხება Trans-Lifeline-ს, საქველმოქმედო ორგანიზაციას, რომელიც ტრანსგენდერ ადამიანებს ამერიკაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სერვისებს აწვდის. Glamour-ის რედაქციის განცხადებით, დიდ ბრიტანეთში ტრანსგენდერთა უფლებები იზღუდება. ამიტომ, ეს დაჯილდოება ლგბტ საზოგადოების პირდაპირი მხარდაჭერაა. დიდ ბრიტანეთში, ტრანსგენდერთა უფლებების მიმართ მზარდი საფრთხის ფონზე, ჟურნალი **Glamour** ლევანდელ დაჯილდოებაზე პატივს მიაგებს საზოგადოების ცხრა ყველაზე ენერგიულ ხმას, მოდიდან და მუსიკიდან დაწყებული, ქველმოქმედებითა და აქტივიზმით დამთავრებული. ეს პიონერები დაუღალავად მუშაობენ ტრანსგენდერი ადამიანების გასაძლიერებლად და მხარდასაჭერად, ნათქვამია რედაქციის განცხადებაში. შეგახსენებთ, აპრილში, დიდი ბრიტანეთის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ქალი მხოლოდ ბიოლოგიურ ქალს ნიშნავს. დაჯილდოებულებს შორისაა მანრო ბერგ დორფი, საკამათო აქტივისტი, რომელმაც ერთხელ ყველა თეთრკანიან ადამიანს რასისტი უწოდა და ამტკიცებდა, რომ სუფრაჟისტები თეთრკანიანთა უზენაესობის მომხრეები იყვნენ.

გასულ წელს ბერგ დორფი გაეროს ქალთა ორგანიზაციის ბრიტანეთის პირველ ჩემპიონად დასახელდა. მანამდე ის პირველი თვითგამოცხადებული მამაკაცი გახდა, რომელიც L’Orial-ის მოდელად მუშაობდა. ერთ-ერთი მთავარი კრიტიკოსი ცნობილი ინგლისელი მწერალი **ჯოან როლინგია.** ჰარი პოტერის ავტორი უკვე, კარგა ხანია, ტრანს საზოგადოებას აკრიტიკებს. ლიბერალები ყველგან მის დაბლოკვას ცდილობენ, მაგრამ მიზანს ვერ აღწევენ. როლინგი კი მათ ხმამაღლა აკრიტიკებს. ახლაც მან სია მწვავედ გააკრიტიკა. **მე იმ ეპოქაში გავიზარდე, როცა ქალთა პოპულარული ჟურნალები გოგონებს ეუბნებოდნენ, რომ უფრო გამხდრები და ლამაზები უნდა ყოფილიყვნენ. ახლა კი ეუბნებიან, რომ... მამაკაცები მათზე უკეთესი ქალები არიან,** – განაცხადა მწერალმა.



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
**POSTV**

# პროლოგი

რომის იმპერიის ძლევამოსილების ხანა არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკაში და ომებში გამარჯვებებით იყო აღსავსე, არამედ ლპობაში შესული დემოკრატიის ისეთი მანკიერებებითაც, როგორიც იყო წრეგადასული სიხარბე, გარყვნილება, კარის ინტრიგები, მკვლელობები, გამრუდებული სამართალი და სხვ. ამას თან დაერთო მონათა აჯანყება სპარტაკის მეთაურობით (ძვ. წ. 74-71 წწ) და რვა წლის შემდგომი კიდევ უფრო სახიფათო ამბავი – წარჩინებული პატრიცის ლუციუს კატილინას შეთქმულება (ძვ. წ. 63-62 წწ.). ამ კაცმა, ლუციუს სულას კონსულობის შემდეგ, გულში ჩაიდო ერთპიროვნული ძალაუფლების ხელში ჩაგდება. საამისოდ მან თავი მოუყარა წრეგადასულ ამრევებს, მზაკვრებსა და სისხლისმოყვარე ახალგაზრდებს, რომელთაც გვაროვნული ქონების დიდი ნაწილი განიავებული ჰქონდათ და, ახალ სიმდიდრესთან ერთად, ზეპური მდგომარეობის დაბრუნება უნდოდათ. კატილინამ თანამოაზრეებს შეკრებისას ადამიანის სისხლგარეული ღვინო დაალევინა და ისე გაფიცა.

თავად ლუციუს კატილინა, როგორც მისი თანამედროვე მწერალი გაიუს სალიუსტიუს კრისპი წერს, გარდა იმისა, რომ ფლიდი, ხარბი, მეშურნე, მზაკვარი და გარყვნილი ადამიანი იყო, (ოი, საოცრებავ!) თურმე, „ბრძოლასა შინა შემართებული“, ფიზიკურად ძლიერი, სიცივის, შიმშილისა და სხვა გაჭირვების იოლად ამტანი და კარგი ორატორი ყოფილა. ისტორიამ წინააღმდეგობებით სავსე მსგავსი ამბოხებული და მოღალატე კაცი არ იცის. ერთი სიტყვით, ჩვენ რომ ვიცნობთ, მთლად ისეთ გარეწარს არ ჰგავდა.

შეთქმულება რომსა და იმპერიის ჩრდილოეთ ნაწილში ერთდროულად უნდა დაწყებულიყო და მერე გაერთიანებულიყო. ეს ამბავი, რომელიც შეთქმულთა შორის ჩანერგილი ხელისუფლების აგენტების, მათ შორის ერთი გაფიცული პატრიცის საყვარელი ქალის საშუალებით გაცხადდა, ჯერ ციცერონის, შემდეგ კი სენატორთა ყურამდე მივიდა. მათ ხელში ჩაიგდეს და დაატუსაღეს რომში დარჩენილი რამდენიმე შეთქმული, რომელთაც პუბლიუს ლენტულა მეთაურობდა. სენატორებმა და დიდმოხელეებმა საგანგებო მსჯელობა გამართეს დამნაშავეთა დასჯის ფორმაზე. რამდენიმე გამომსვლელმა ორჭოფულად დაუჭირა მხარი შეთქმულთა სიკვდილით დასჯას, სხვამ სხვა თქვა.

როგორც ჩანს, სენატის კანცელარია ტრადიციისამებრ იწერდა და ინახავდა მოკამათეების სიტყვებს. ორი მათგანი საეტაპო მნიშვნელობისაა – ერთი მემარცხენისაა, მეორე – მემარჯვენის.

# კატილინას შეთქმულება გვახსოვდეს!

ნაწყვეტები გაიუს სალუსტიუს კრისპის წიგნიდან

## გაიუს იულიუს ცეზარის (კეისრის) სიტყვა:

51.(1). „სენატორო მამებო, სამსჯავრო საკითხის განხილვისას ყველამ თავი უნდა გაითავისუფლოს სიძულვილისა თუ მეგობრობის, მრისხანებისა თუ სიბრალულისგან. (2). ადამიანის გონებას მაშინ უძნელდება სიმართლის დანახვა, როცა მას ეს გრძნობები ეძალება. აქამდე ჯერ არასდროს მომხდარა, რომ ვინმეს ერთდროულად ეხელმძღვანელოს ძლიერი სურვილებით და მიუმხრობლობით. (3) გონება იქით გადაგძალავს, საითაც მიმართავ, თუ წადილი დაგძლევს, სწორედ ის წარგმართავს; გონი ამ შემთხვევაში უძლურია.

(4) სენატორო მამებო, მე შემიძლია უამრავი ისეთი გადაწყვეტილება შეგახსენოთ, რომელიც ჩვენს მამებსა და ხალხს მიუღიათ სწორედ მრისხანებისა თუ სიბრალულის გამო, მაგრამ უმჯობესია ის შემთხვევები გაგახსენოთ, როცა ჩვენს წინაპრებს, ძლიერი სურვილის საწინააღმდეგოდ, სამართლიანად და ჭკვიანურად განუსჯიათ.

(5) მაკედონური ომის დროს, როცა სპარსეთის მეფეს ვებრძოდით, სწორედ რომაელთა შემწეობით გაძლიერებულმა როდოსის დიდმა და მდიდარმა სახელმწიფომ არათუ ცუდად, მტრულადაც კი იმოქმედა ჩვენსავე წინააღმდეგ. (6) ასევე, პუნიკური ომების მთელი ხნის მანძილზე, მიუხედავად იმისა, რომ კართაგენელები, მშვიდობისა თუ დაზავების დროსაც ხშირად სჩადიოდნენ უღირს საქციელს, ჩვენი წინაპრები ხელსაყრელ პირობებშიც კი საკადრისად არ უბრუნებდნენ ხოლმე პასუხს. ისინი საკუთარ ღირსებაზე უფრო მეტს ფიქრობდნენ, ვიდრე კართაგენელების დასჯაზე. (7) სენატორო მამებო, თქვენც ამგვარად უნდა შეხედოთ ამ ამბავს. პუბლიუს ლენტულას და სხვათა დანაშაული თქვენს წარმოდგენაში არ უნდა აღემატებოდეს თქვენს მაღალ ავტორიტეტს; განრისხებით კი არ უნდა იხელმძღვანელოთ, არამედ თქვენი ღირსების შესაბამისად და დასაცავად. (8) ასე რომ, საჭიროა მათი დანაშაულის შესაფერისი სასჯელის მოძებნა. მე მზად ვარ მხარი დავუჭირო ამ უმაგალითო წინადადებას, მაგრამ თუ დანაშაულის ხარისხი ყველაფერ იმას აღემატება, რისი წარმოდგენაც შეგვიძლია, მე გირჩევთ, რომ ეს სასჯელი თავისი საზრისით კანონს მიღმა არ აღმოჩნდეს.

(9) ჩემამდე გამოსული სენატორების ხატოვანი სიტყვებით შეკაზმულ წინადადებებში წარმოდგენილი იყო ჩვენი სახელმწიფოს განსაცდელი; მათ ჩამოთვალეს ომის ის უბედურებანი, რომლებიც თავს ატყდება ხოლმე დამარცხებულებს – ის, თუ როგორ იტაცებენ გოგონებსა და ბიჭებს, როგორ სტაცებენ მშობლებს მკლავიდან შვილებს, როგორ ეწამებიან გათხოვილი ქალები თავნება გამარჯვებულებს, როგორ ძარცვავენ ტაძრებსა და კერძო სახლებს, როგორ აწყობენ ხოცვა-ჟლეტას და ხანძრებს, – ერთი სიტყვით, ყველგან იარაღი, ცხედრები, სისხლი და ცრემლია. (10) მაგრამ – უკვდავი ღმერთების სახელით! – რას ემსახურებოდა მათი ეს სიტყვები? იმას, რომ შეთქმულების წინააღმდეგ განეწყეთ? თითქოს ბუნებრივია, რომ მსგავსი სიტყვები იმასაც კი აღანთებს, ვისაც ასეთი დანაშაული მანამდე არ ააღელვებდა. (11) მაგრამ ის, ვინც საკუთარ თავზე იწვნევს უკანონობას, არათუ აღშფოთებას გამოხატავს, არამედ შეფასებისას აზვიადებს. (12) სასჯელიც ერთს ერთნაირი აკმაყოფილებს და მეორეს – მეორენაირი; სენატორო მამანო! თუ უსახელო, ქვედა წარმომავლობის ადამიანი ჩაიდენს დანაშაულს გაცხარებისას, ამას ბევრი ვერ შეიტყობს და საქმის გამოძახილი ისეთივე უმნიშვნელო იქნება, როგორც თვით ამ კაცის წარმომავლობა. (13) ამგვარად, რაც უფრო დიდია სახელი, მით ნაკლებია თავისუფლება. ასეთმა ადამიანებმა არ უნდა გამოავლინონ თავიანთი გუნება-განწყობილება, სიძულვილი, ყველაზე მეტად კი მრისხანება. (14) ის, რაც უგვაროთათვის უბრალო გაცხარებაა, ხელისუფლისთვის ქედმაღლობა და სისატიკეა. (15). მე ასე ვფიქრობ, სენატორო მამანო: დანაშაულს ვერანაირი სასჯელი ვერ გამოისყიდის, მაგრამ ადამიანს, რომელსაც ნაკლებად ამახსოვრდება ბოროტება, კარგად ახსოვს ხოლმე მისი ჩამდენის ბოლო, მითუმეტეს თუ სასჯელი უსასტიკესია.

(16) მე დარწმუნებული ვარ: ის, რაც დეციმუს სილანმა – ამ



კატილინას სასამართლო პროცესი

მამაცმა და გაბედულმა კაცმა თქვა, თქვა სახელმწიფოს ერთგულებიდან გამომდინარე, მას ამ უაღრესად საპასუხისმგებლო საქმეში არც კეთილგანწყობა მართავდა და არც მტრობა. (17) მაგრამ მისი წინადადება მე იმდენად მკაცრი არ მეჩვენება (ასეთ საქმეში რა შეიძლება მკაცრი მოგეჩვენოს მსგავს ადამიანებთან მიმართებაში!), რამდენადაც ჩვენი სახალმწიფოებრიობისთვის მიუღებელი. (18) სილანი, შენ ეს, რა თქმა უნდა, ან შიშმა გიკარნახა, ან, როგორც არჩეულმა კონსულმა[1], კანონის მოთხოვნებს გადააჭარბე და უსასტიკესი განაჩენი მოითხოვე. (19) შიშზე საუბარი უადგილოა, რამეთუ ისედაც ფხიზელ კაცს, კონსულობის გამო, მრავალრიცხოვანი დაცვა გყავს.

(20) სასჯელის თაობაზე მე დანამდვილებით შემიძლია ვილაპარაკო თვით ამ სასჯელის არსიდან გამომდინარე: სამწუხაროდ და საუბედუროდ, სიკვდილი მათთვის ტანჯვა კი არა, უბედურებისგან მოსვენებაა. იგი ადამიანებს ყველა ამქვეყნიური განცდისგან იცავს. იმქვეყნად არც მწუხარება და არც სიხარული.

(21) მაგრამ – უკვდავი ღმერთების სახელით! – შენს წინადადებას ისიც რად არ დაუმატე, რომ დამნაშავეები თავდაპირველად გაეროზგათ? (22) იმიტომ ხომ არა, რომ ამას პორციული კანონი[2] კრძალავს? კი მაგრამ, აკი სხვა კანონები, განსასჯელის სიცოცხლის ხელყოფის ნაცვლად, ქვეყნიდან მათი განდევნის უფლებასაც გვაძლევს? (23) იქნებ, იმიტომ, რომ გაროზგვა უფრო მძიმეა, ვიდრე სიკვდილით დასჯა? მაგრამ მაშინ რა შეიძლება იყოს გაროზგვაზე კიდევ უფრო დიდი სიმკაცრე, უფრო სწორად ძალიან მძიმე, ასეთ ბოროტმოქმედებაში მხილებულთათვის? (24) და თუ იმიტომ, რომ სიკვდილით დასჯა უფრო მსუბუქია, მაშინ რამდენად მართებულია, რომ ნაკლებად საპასუხისმგებლო საქმეში კანონი გვაშინებდეს, ხოლო უფრო პასუხსაგებ საქმეში ეს კანონი უგულებელვყოთ?

(25) მაგრამ ერთი ეს მითხარით, ვის შეუძლია სახელმწიფოში პარიციდული დადგენილების უარყოფა? – მხოლოდ ვითარებას, დროს და ფორტუნას, რომელიც თავის ნებაზე მართავს ხალხებს. რა ბედიც არ უნდა ეწიოთ შეთქმულებს, ისინი ამის ღირსნი იქნებიან. (26) მაგრამ თქვენ, სენატორო მამანო, იმაზეც ხომ უნდა იფიქროთ, თუ რას ნიშნავს თქვენი გადაწყვეტილება სხვათათვის. (27) ყველა ცუდი საქმე გარეგნულად კეთილი მიზნებით იბადება ხოლმე[3], მაგრამ როცა ხელისუფლება გამოუცდელი ან განსაკუთრებით უპატიოსნო ადამიანების ხელში ხვდება, მაშინ დასჯის ის უკიდურესი ზომა, რომელზეც აქაა საუბარი, ბრალეული ადამიანებიდან უბრალო ადამიანებზეც გადადის. (28) ათენელთა განადგურების შემდეგ ლაკედონელებმა მათ 30 კაცი დაუნიშნეს სამართავად. (29) ამათ თავდაპირველად ყველა განსაკუთ-

# გამრუდებული სამართალი



გაიუს იულიუს ცეზარი

რებული ბოროტმოქმედისა და საძულველი ადამიანის სიკვდილით დასჯა დაიწყეს. ხალხს უხაროდა და ამბობდა, ეს რა კარგიაო. (30) შემდგომში, როცა მმართველთა თვითნებობამ თანდათან იმატა, მათ უკვე საკუთარ ნებაზე მიჰყვეს ხელი წესიერი თუ უწესო ადამიანთა დასჯას, ხოლო სხვებს დაშინება დაუწყეს. (31) ასე მიეგო დამონებულ ხალხს თავისი სულელური სიხარულის წილი. (32) როცა ჩვენს დროებაში გამარჯვებულმა სულამ სახელმწიფოს უბედურების ხარჯზე აღზევებული დამასიპის და მსგავსი ადამიანების გაგუდვა ბრძანა, ვინმე აღშფოთდა ამით? ამბობდნენ, რომ დამნაშავე და ბატონკაცობის მოყვარული ყველა ადამიანი, რომელმაც ამბოხებით სახელმწიფო შეარყია, საკადრისად დაისაჯა სიკვდილით. (33) მაგრამ თავისთავად, სწორედ ეს შეიქნა დიდი უბედურების დასაწყისი. საკმარისი იყო, ვინმეს ვისიმე სახლი, კარმიდამო ან თუნდაც დგამ-ავეჯი მოენდომებინა, რომ ყოველნაირად ცდილობდა მისი პატრონის დამასიპის სიაში შეყვანას. (34) და აი, შედეგად, ვინც დამასიპის სიკვდილმა გაახარა, სულ მალე თავად მოხვდა დასაჭერთა და სიკვდილით დასასჯელთა სიაში. ეს მხოლოდ მას შემდეგ შეწყდა, რაც სულამ თავისი მომხრეები გულუხვად დააჯილდოვა. (35) არა, მე სულაც არ მაშინებს არც მარკუს ტულიუსი და არც ჩვენი დროება, მაგრამ რას იზამ, დიდ სახელმწიფოში აკი არჩევანიც და გადაწყვეტილებაც დიდი და სხვადასხვაა. სხვა დროს, სხვა კონსულის პირობებში, თუ იგი არმიას გამოიყენებს საყრდენად, სიცრუე შეიძლება ჭეშმარიტებად გასაღდეს. აქედან გამომდინარე, თუ კონსული სენატის გადაწყვეტილების წინააღმდეგ ხმალს იშიშვლებს, ვინღა მიუთითებს მას ნორმაზე, უფრო სწორედ, ვინ შეზღუდავს მის მოქმედებას?

(37) სენატორო მამებო! ჩვენს წინაპრებს არც ომში გამარჯვების ძალა და უნარი დაკლებიათ ოდესმე და არც სიამაყე, როცა სხვათა მაგალითი გადმოუღიათ, (38) მრავალი სახეობის თავდაცვითი თუ შეტევითი იარაღი მათ სამნიტებისგან[4] გადმოიღეს, მაგისტრების განმასხვავებელი ნიშნები – ეტრუსკებისგან[5], ერთი სიტყვით, ის, რასაც მოკავშირეები და თუნდაც მტრები ფლობდნენ, დიდი გულისყურით გადმოჰქონდათ ყველაფერი, რაც კი მოერგებოდათ; სხვას შურით კი არ უმზერდნენ, არამედ სიკეთეში ბაძავდნენ. (39) იმავდროულად, ბერძენთა ტრადიციებს რომ ბაძავდნენ, მოქალაქეებს როზგავდნენ, ბოროტმოქმედებს კი სასჯელის უმაღლესი ზომით – სიკვდილით სჯიდნენ. (40) როცა სახელმწიფო გაფართოვდა და მოქალაქეთა რაოდენობა გაიზარდა, როცა მოქიშპენი მომრავლდნენ და მოძლიერდნენ, უდანაშაულოთა დევნა და სხვა მსგავსი ქმედებები დაიწყო. ამის საწინააღმდეგოდ სწორედ მაშინ შემოვიღეთ პორციები და ის კანონები, რომლებიც მხოლოდ დამნაშავის გასახლებას ითვალისწინებდა მსჯავრად. (41) ჩემი აზრით, სენატორო მამანო, სწორედ ესაა მთავარი მიზეზი, რაც უმაგალითო გადაწყვეტილების მიღების ნებას არ გვაძლევს. (42) იმათ, ვინც ძალდაუტანებლად შექმნეს ესოდენ დიდი სახელმწიფო, რა თქმა უნდა, სიქველე და სიბრძნე გაცილებით მეტი ჰქონდათ, ვიდრე ჩვენ, რომლებიც გაჭირვებით ვინარჩუნებთ მათ მონაპოვარს.

(43) მაშ, ხომ არ გაგვენთავისუფლებინა ისინი, რომ მერე კატილინას ჯარს შეერთებოდნენ? არამც და არამც! გთავაზობთ, რომ სასჯელად ჩამოერთვათ ქონება, ხოლო თავად ბორკილებგაყრილი დავაყუდოთ მუნიციპალიტეტებში და იქ განსაკუთრებული მეთვალყურენი დავუყენოთ; ისე, რომ შემდგომში მათი ხსენება არ იყოს არც სენატში და არც ხალხში. ყველა, ვინც ამის საპირისპიროდ მოიქცევა, სახელმწიფოსა და მისი კეთილდღეობის მტრად გამოცხადდეს".

**52 (1) როცა იულიუს კეისარმა გამოსვლა დაასრულა, სხვადასხვა სენატორმა მოკლედ გამოხატა თავისი თანხმობა – ზოგმა როგორი და ზოგმაც – როგორი წინადადება წამოაყენა. როცა მარკ პორციუს კატონს[6] სთხოვეს გამოსვლა, მან ასე იუბნა.**

## კატონის სიტყვა:

(2) „სენატორო-მამებო, როცა ჩვენს სახიფათო ვითარებას ვაფასებ და ზოგიერთი სენატორის შემოტანილ წინადადებას ვუფიქრდები, რა აზრი აღარ მომდის თავში. (3) მე მგონი, ისინი, ვინც ახლა სამშობლოს, მშობლების, საკუთარი საკურთხევლის, კერიის და პირადი მდგომარეობის წინააღმდეგ ამხედრებულთა დასჯაზე საუბრობდნენ, თავიანთი გადარჩენა უფრო ადარდებდათ, დამნაშავეთაგან გამიჯვნაზე უფრო ლაპარაკობდნენ, ვიდრე აქ მისაღებ დადგენილებაზე. (4) სხვაგვარ დანაშაულებრივ ქმედებებზე სამართლებრივი დევნა მაშინაა შესაძლებელი, როცა მას ჩაიდენენ. მაგრამ ეს ახლანდელი დანაშაული თუ ამთავითვე არ ავიცილეთ, მართლმსაჯულება როგორღა განვახორციელოთ? ქალაქი თუ მიიტაცეს, ჩვენ – დამარცხებულები გამარჯვებულებს როგორ გავასამართლებთ! (5) ასე რომ – უკვდავი ღმერთების სახელით! – მოგიწოდებთ თქვენ, ვინც სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა ყოველთვის საკუთარ სახლს, მამულს, სტატუებსა და სურათებს აყენებდით: თუ გსურთ იმის გადარჩენა, რაც გაბადიათ, თუ გსურთ ნიადაგ ილხინდეთ, მაშინ, ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფოებრივად იმოქმედეთ. (6) ამჯერად საქმე შეეხება არა რაიმე გამოსაღებს ან მოკავშირეებთან დამოკიდებულებას, არამედ საფრთხეში ჩავარდნილ ჩვენსავე არსებობას და თავისუფლებას.

(7) სენატორო მამანო, მე ხშირად და ბევრი მილაპარაკია ამ კრებაზე, ხშირად დამიჩივლია ჩვენი მოქალაქეების გარყვნილებაზე და სიხარბეზე; ამიტომაც მყავს ამდენი მოწინააღმდეგე. (8) მაგრამ რაკი საკუთარი თავისთვის ფიქრში გადაცდომაც არასდროს მიპატიებია, ვერც სხვათა ბოროტებას და მანკიერებას მოვუხუჭავ თვალს. (9) თქვენ, მართალია, ადრე ჩემს სიტყვებს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდით, მაგრამ მაშინ სახელმწიფო მტკიცედ იდგა ფეხზე: მისი სიძლიერე დარხეინების საშუალებას გაძლევდათ. (10) ახლა საუბარი იმაზე კი არაა, რამდენად კარგია ჩვენი კანონები, არც იმაზე – დიდია თუ ბრწყინვალე რომაელი ხალხის სახელმწიფო.  არა, ახლა საკითხავი ისაა, ჩვენი ქონება, როგორც არ უნდა ფასობდეს იგი, ჩვენვე დაგვრჩება თუ მტერს ჩაუვარდება ხელში. (11) და აი, აქ მე სიბრალულსა და შეღავათებზე მელაპარაკებიან. ჩვენ მართლაც დიდი ხანია თავის სახელს არ ვარქმევთ მოვლენებს. სხვათა ქონების გაჩუქება ხელგაშლილობად მიიჩნევა, ცუდ საქმეებში მედეგობა



მარკ პორციუს კატონი

– მამაცობად; ამიტომაცაა სახელმწიფო დაღუპვის პირას. (12) ფიქრობთ, რა გაეწყობაო, რაკი ასეთია მათი ზნე, დაე მოკავშირეთა ხარჯზე იყვნენ გულუხვნიო, დაე ასეთი მოკეთენი და ხაზინის ქურდები იყვნენ, ოღონდ ჩვენს სახლკარს ნუ წარიტაცებენო. ასეთ შემთხვევაში თქვენ იოლად ინდობთ ხოლმე პატარა ჯგუფებს და ამით სხვებს აზარალებთ.

(13) ჩემამდე აქ გამოსულმა გაიუს ცეზარმა, სიკვდილ-სიცოცხლეზე მაცთუნებლად რომ ჩამოაგდო სიტყვა, ჩანს გამოგონილად მიიჩნია ის, რასაც ხალხი ამბობს საიქიო ცხოვრებაზე, ის რომ იქ ბოროტი ადამიანები კეთილთაგან შორს, უკუნ, ველურ და შიშის მომგვრელ ადგილებში სახლობენ. (14) ამიტომ, შემოგვთავაზა, რაკი დამნაშავეები სიკვდილით ამას თავს აარიდებენ, დაე აქ იყვნენ და იტანჯონ, მათი ქონება ხაზინაში შევიტანოთ, ხოლო თავად ისინი დარაჯთა მეთვალყურეობით მუნიციპალიებში მოვათავსოთო. ალბათ, იმისა ეშინია, რომ რომში შეთქმულთა წრემ ან მოსყიდულმა კაცებმა არ გაანთავისუფალონ, (15) თითქოსდა, უვარგისები და დამნაშავეები მხოლოდ ქალაქში ცხოვრობენ და არა მთელ იტალიაში; თითქოსდა, იქ უფრო მეტი ნაძირალა არ იყოს, სადაც ნაკლები მცველია. (16) აქედან გამომდინარე, თუ შეთქმულთა შიში აქვს, მაშინ მისი მოსაზრებები უსარგებლოა; ხოლო თუ ასეთ საყოველთაო საშიშროებაში მხოლოდ იგია უშიშრად, მაშინ ხომ, მე და თქვენ მითუმეტეს, გვქონია შიშის საფუძველი. (17) ამიტომ, როდესაც პობლიუს ლენტულას და სხვათა შესახებ მიიღებთ გადაწყვეტილებას, მტკიცედ უნდა იცოდეთ, რომ ამით ერთდროულად გადაწყვეტილებას გამოუტანთ კატილინას ჯარს და ყველა შეთქმულს. (18) რაც უფრო ნაკლები მონდომებით იმოქმედებთ, მით უფრო დაეცემიან ისინი სულიერად, და პირიქით – მცირეოდენი სისუსტეც რომ შეგატყონ, მაშინ ყველა ეს თავხედი უმალ აქ ამოყოფს თავს.

(19) ნუ გგონიათ, რომ ჩვენმა წინაპრებმა იარაღით შეძლეს დიდი სახელმწიფოს შექმნა. (20) ასე რომ ყოფილიყო, მაშინ კიდევ უფრო ბრწყინვალე სახელმწიფო გვექნებოდა, რამეთუ მოწინააღმდეგეს არა მხოლოდ მოკავშირეთა და მოქალაქეთა რიცხოვნობით აღვემატებოდით, არამედ ცხენებითა და იარაღითაც. (21) მაგრამ მოწინააღმდეგეს ისეთი ღირსებები აღამაღლებდა, რაც ჩვენ გვაკლდა: სამშობლოში – შრომისმოყვარეობა, საზღვრებს მიღმა სამართლიანი მმართველობა, ხოლო საბჭოებში – სულიერი თავისუფლება, რასაც ტვირთად არ აწვა დანაშაულები და მიკერძოებანი, რამეთუ იქ ამას არ იქმოდნენ[7] (22) ჩვენთან კი სანაცვლოდ გახრწნილება და სიხარბეა; სახელმწიფოში – სიღარიბე და კერძო ყოფაში – ფუფუნება, ვაქებთ სიმდიდრეს და ველტვით ზეიმებს, ავსა და კარგს არ განვასხვავებთ, მამაცობისთვის ყველა ჯილდოს პატივმოყვარეებს ვაკუთვნებთ. (23) ჰოდა, გასაკვირიც არაფერია: რაკი ყოველი თქვენთაგანი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს, რაკი პირად ცხოვრებაში განცხრომის მონანი  ბრძანდებით (აქ კი ძლიერთათვის ამა ქვეყნისა ფული და გავლენაა მთავარი), სწორედ ამიტომაა სახელმწიფო დაუცველი და თავდასხმის საგანი. ამაზე მეტს აღარ ვილაპარაკებ.

(24) უწარჩინებულესი წარმომავლობის მოქალაქეებმა შეთქმულება მოაწყეს, რითაც მამული ცეცხლისთვის გაიმეტეს; რომთან დაკავშირებული ყველაფრის უკიდურესად მოძულე გალები ომისთვის მზად არიან; მათი ჯარი და მხედართმთავარი ზურგს უკან გვიდგას. (25) და თქვენ?.. ახლაც კი ფეხს ითრევთ და არ იცით როგორ მოექცეთ იმ მტერს, რომელიც აქ, ქალაქში გყავთ გამომწყვდეული. (26) მე გთავაზობთ: დაინდეთ ისინი – დანაშაული ხომ პატივმოყვარე ბიჭებმა ჩაიდინეს! გაუშვით და, გნებავთ, იარაღიც დაუბრუნეთ! (27) მაგრამ გაფრთხილდით, ემანდ, თქვენმა გულჩვილობამ და შემწყნარებლობამ ამ ადამიანებს მეტი იარაღი არ ააღებინოს ხელში და უბედურება არ დაგატეხონ! (28) მდგომარეობა, რა თქმა უნდა, თავისთავად რთულია, მაგრამ თქვენ ეს თითქოსდა არ გაშინებთ. არა, არა, ძალიანაც გაშინებთ, მაგრამ თითოეული თქვენგანი იმდენად არხეინი და უსიცოცხლოა, რომ სხვას ელოდება, რას იზამს – აყოვნებთ... ალბათ, იმ  უკვდავი ღმერთების იმედად ბრძანდებით, რომელთაც არაერთხელ გადაურჩენია ჩვენი სახელმწიფო დიდი ხიფათისგან. (29) ვერც აღთქმები და ვერც ქალაჩუნური ლოცვები ვერ უზრუნველყოფს ღმერთების დახმარებას; ფრთხილად ყოფნა, მოქმედება, ჭკვიანური გადაწყვეტილებები – აი, რა მოგვიტანს წარმატებას; უდარდელობა და ღღესასწაულები, ღმერთებთან ვედრება უსარგებლოა, რადგან ისინი ჩვენზე განრისხებული არიან და გვმტრობენ.

(30) ოდესღაც ავლიუს მანლი ტორკვატმა, გალებთან ომისას, საკუთარი შვილის სიკვდილით დასჯა იმიტომ მოითხოვა, რომ ბრძანება დაარღვია და მტერთან  ბრძოლაში ჩაება. (31) ის ჩინებული ახალგაზრდა სიცოცხლეს იმიტომ გამოესალმა, რომ გაუმართლებელი მამაცობა გამოიჩინა. (32) და თქვენ უსასტიკესი პარიციდების განაჩენზე ითრევთ ფეხს? (33) როგორც ჩანს, შეთქმულთა განვლილი ცხოვრება არ გაძლევთ უფლებას, რომ დანაშაულში ამხილოთ. რას იზამ, ლენტულას წარჩინებულობას უნდა მიაგოთ პატივი, მაგრამ თავად თუ მაინც უფიქრია ოდესმე სირცხვილზე და კარგ სახელზე. თუ რომელიმე ღმერთის ან ადამიანისადმი გაუღია მოწყალება; რაკი ახალგაზრდაა, შეიბრალეთ ცეტეგაც, რომელმაც, ასაკის მიუხედავად, მეორედ მოასწრო მამულისთვის ომის გამოცხადება. (34) რაღა უნდა ვთქვა პაბინიუსზე, სტატილიუსზე, ცეპარიუსზე? მათთვის რაიმეს მაინც რომ ჰქონდეს მნიშვნელობა, გულში როგორ ჩაიდებდნენ სახელმწიფოს წინააღმდეგ მზაკვრობას.

(35) და ბოლოს, სენატორო მამებო, შეცდომების დასაშვებად დრო რომ გვრჩებოდეს, ჰერკულესს ვფიცავ, თანახმა ვიქნებოდი, რომ ჩემი სიტყვებისთვის კი არა, მომავალი ვითარებისთვის დაგეგდოთ ყური, მაგრამ ჩვენ ახლა ყოველი მხრიდან გვესევიან; კატილინა თავისი ჯარით ლამის ყელში გვეცეს. ჩვენს კედლებში, ქალაქის შუაგულში, კიდევ სხვა მტრები გვისხედს. უჩუმრად არც არაფრის მომზადება შეგვიძლია და არც არაფრის განხილვა. ეს კიდევ უფრო გვაჩქარებს.

(36) ამიტომ, გთავაზობთ: **„დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ უწმინდური ჩანაფიქრით სახელმწიფო უკიდურესად სახიფათო ვითარებაში აღმოჩნდა. როგორც ტიტუს ვოლტურცია და ალობროგების ელჩები გვაცნობებენ, შეთქმულები აღიარებენ, რომ მათი სურვილი და გადაწყვეტილებაა მუსრი გაავლონ ქვეყანას, ამოჟლიტონ მოქალაქეები და ჩაიდინონ სხვა სისაძაგლენი. ამიტომ, როგორც დანაშაულის ადგილზე სამხილებით დაჭერილები, წინაპართა წესის თანახმად, სიკვდილით უნდა დაისაჯონ!"**



**გელა ქოქიაშვილი,**

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

**(გაგრძელება იქნება)**

## განმარტებანი

1. არჩეული კონსული – მას ირჩევს პლიებსი, მეორე კონსულს (ალბათ, უფრო ძლიერს) პატრიელთა ჯგუფიდან, როგორც ფრიად წარჩინებულს ნიშნავდა სენატი.
2. პორციის კანონი, რომელიც რომში ძვ. წ.-ის 198 წელს შემოიღეს, კრძალავდა რომაელი მოქალაქის სხეულის დაზიანებას.
3. აქ საუბარი იმაზეა, რომ ყველა შეთქმულება თუ ჯანყი გარეგნულად დაჩაგრულებს იცავს.
4. სამნიტები – უმბრიულ-საბელური ძვ. იტალიკური მესაქონლე ტომები, რომლებიც ძვ. წ-ის V საუკუნეში აპენინის ჩრდილოეთიდან სამხრეთ-დასავლეთში და დასავლეთში ჩამოსახლდნენ. ერთი საუკუნის შემდეგ კამპანიელების, ლუკანების, ბრიფტიების და სამნიტების სახელწოდებით ტომთა სამხედრო კავშირი შეიქმნა და რომს დაუპირისპირდა. ამ სამნიტურ ომებში ეს გაერთიანება ძვ. წ.-ის I საუკუნეში თითქმის სრულიად ამოჟლიტა სულამ; ეს ის ტერიტორიებია, რომელიც ამჟამინდელი ნეაპოლიდან სამხრეთით ვრცელდება ტირენის ზღვის სანაპიროზე კალიბრიის ოლქამდე.
5. აპენინის ძვ. მოსახლეობის დიდი ნაწილი.
6. იგი უფროსი მარკ პორციუს კატონის შთამომავალია, იმ კატონისა, რომელიც რომაული ისტორიისა და პროზის ფუძემდებლად მიიჩნევა. საყოველთაოდაა ცნობილი მისი დოგმად ქცეული ფრაზა: „კართაგენი უნდა დაეცეს"!
7. აქ საუბარია ლაკონიკაზე – იგივე სპარტაზე, სადაც, სხვა ავტორების თანახმად, არც კაცი მოუკლავთ ოდესმე და არც სხვა დანაშაული ჩაუდენიათ. (მთარგმნელი).

# რას ნიშნავს ტრამპის მუქარა მსოფლიოში ბირთვული იარაღის გამოცდისთვის?!

**2019 წლის ივნისში შოკი გამოიწვია პენტაგონის მთავარი სადაზვერვო უწყების დირექტორის განცხადებამ რუსეთისა და მისი ბირთვული პროგრამების შესახებ: მოსკოვი ბირთვული იარაღის გამოცდებს აწარმოებს!!!**

**„აშშ-ის მთავრობა, მათ შორის სადაზვერვო სამსახურები, მივიდა დასკვნამდე, რომ რუსეთმა ჩაატარა ბირთვული იარაღის გამოცდები, რასაც ბირთვული სიმძლავრის წარმოშობა მოჰყვა,“– განაცხადა გენერალ-ლეიტენანტმა რობერტ ეშლიმ.**

**ჩინეთსაც შეუძლია საკუთარი გამოცდების წარმოება, დასძინა ეშლიმ. მისი თქმით, ჩინეთი, როგორც ჩანს იყენებს „ნულოვანი სიმძლავრის“ მეთოდებს, რომელთა დროსაც არ ხდება რეალური ატომური აფეთქება – ჯაჭვური რეაქცია. ექვსი წლის შემდეგ შეერთებული შტატები და რუსეთი ახალი გამალებული შეიარაღების ზღვარზე აღმოჩნდნენ. კრემლი ტრაბახობს ახალი სუპერიარაღის შექმნით, რომელსაც ბირთვული მუხტის ტარება ძალუძს, პრეზიდენტი დონალდ ტრამპი კი იმუქრება, რომ აშშ განაახლებს ბირთვულ გამოცდებს. „გამოცდებს ატარებენ რუსეთიც და ჩინეთიც, მაგრამ ისინი ამის შესახებ არ ლაპარაკობენ,“ განაცხადა ტრამპმა CBS News-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. „არა, ჩვენ ჩავატარებთ გამოცდებს, ვინაიდან ისინი ატარებენ გამოცდებს და სხვებიც აკეთებენ ამას“.**

**მან ეს კიდევ ერთხელ აღნიშნა 5 ნოემბერს, რამდენიმე საათში მას მერე, რაც რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა გამართა უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელიც სპეციალურად ეძღვნებოდა ამ საკითხს. „იმასთან დაკავშირებით, რომ სხვა ქვეყნები სატესტო პროგრამებს ატარებენ, თავდაცვის სამინისტროს დავავალე, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე დაიწყოს ჩვენი ბირთვული იარაღის გამოცდა,“ თქვა ტრამპმა.**

**მტკიცება, რომ რუსეთი და ჩინეთი გამოცდებს ატარებენ, დავის საგანია. ასეა თუ ისე, ამ მუქარას კრიტიკა მოჰყვა მოსკოვის მხრიდან და მოწონება აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების მომხრეთა მხრიდან, არაფერი რომ ვთქვათ იმაზე, რომ იარაღის კონტროლის მომხრეები საგონებელში ჩავარდნენ.**

**იარაღის კონტროლის სფეროში მოქმედი ხელშეკრულებების – საშუალო რადიუსის ბირთვული ძალების ხელშეკრულების, ანტისარაკეტო სისტემების შეზღუდვის ხელშეკრულების, ღია ცის შესახებ ხელშეკრულებისა და New START-ის ჩავარდნის ან დასუსტებიდან წლების შემდეგ New START-ის მომხრეები შიშობენ, რომ შემდეგი დოკუმენტი შეიძლება იყოს ბირთვული გამოცდების აკრძალვის გლობალური ხელშეკრულება. რუსეთის უშიშროების საბჭოს სხდომაზე თავდაცვის მინისტრი ანდრეი ბელოუსოვი გამოვიდა მოწოდებით, დაიწყოს მზადება ბირთვული იარაღის გამოცდისთვის არქტიკაში, ახალი მიწის არქიპელაგის პოლიგონებზე. ხომ არ დაიბნეით მთელს ამ ხელშეკრულებებში? არ იცით, რა არის „ბომბის სიმძლავრე“? პასუხები ქვევით შეგიძლიათ წაიკითხოთ.**




## გზა სიკვდილისკენ!

**შეერთებულმა შტატებმა ურანის ან პლუტონიუმის იზოტოპის დასაშლელად და ბირთვული ჯაჭვური რეაქციის გამოსაწვევად თავისი არსენალის ასაფეთქებელი ნივთიერებები ბოლოს 1992 წელს გამოიყენა ნევადის მტვრიან ლანდშაფტში. ეს იყო არა სოკოსებრი ღრუბელი, როგორც ფილმებში ხედავთ ხოლმე – ისინი 1960-იან წლებში გავიდა მოდიდან ხელშეკრულების საფუძველზე – არამედ მიწისქვეშა აფეთქება.**

მოსკოვის მიერ ბირთვული იარაღის ბოლო ტესტი? ეს 1990 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლამდე ერთი წლით ადრე მოხდა ახალ მიწაზე. პეკინმა ტესტი 1996 წელს ჩაატარა, ლოპ ნურში, სინძიანის პროვინციის დასავლეთით მდებარე ქარიან ტერიტორიებზე. იმავე წელს ძალაში შევიდა ბირთვული გამოცდების ყოვლისმომცველი აკრძალვის ხელშეკრულება (CTBT). მას შემდეგ მხოლოდ პაკისტანმა და ინდოეთმა ჩაატარეს მსგავსი კრიტიკული ტესტები, ხოლო ჩრდილოეთ კორეამ ექვსი ჩაატარა, ბოლო – 2017 წელს.

ზოგადად ბირთვული ტესტები, რომლებიც მოიცავს რღვევადი მასალის რეალურ აფეთქებებს, შედარებით ადვილი აღმოსაჩენია. სეისმური მონიტორინგის მაღალმგრძნობიარე მოწყობილობებს, როგორებითაც, მაგალითად, მიწისძვრების მონიტორინგს აწარმოებენ, შეუძლიათ დააფიქსირონ მიწისქვეშა აფეთქებიდან მიღებული დარტყმითი ტალღები. და ათწლეულების განმავლობაში ყველა ტესტი სწორედ მიწისქვეშ ტარდებოდა. დახვეწილი „ყნოსვით“ აღჭურვილ თვითმფრინავებს შეუძლიათ ატმოსფეროში მოტივტივე რადიოაქტიური იზოტოპების დაფიქსირება, რაც ბირთვული დეტონაციის ნიშნებია.

## არაკრიტიკული, კრიტიკული, ზეკრიტიკული!

**ცივი ომის და სსრკ-ამერიკის გამალებული შეიარაღების დასრულებამ გამოიწვია ბირთვული არსენალების მნიშვნელოვნად შემცირება და ბომბების დაგეგმვისა და ასაგებად საჭირო ინფრასტრუქტურაში ჩადებული ინვესტიციების შეკვეცა.**

ყველა ბირთვული იარაღის მქონე ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს, რომ მათი არსენალები ისევე გამანადგურებელია, როგორც ამას მათგან მოელიან. ამიტომ ტესტირება გრძელდება, ოღონდ არა სოკოსებური ღრუბლისებური ფორმით. CTBT-ით დაშვებულია არაკრიტიული გამოცდები, რომელთა დროს ფეთქებადი ნივთიერებები და გახლეჩადი მასალები კი გამოიყენება, მაგრამ არ ხდება თავად დეტონაცია ბირთვის გასახლეჩად. მკვლევრები სუპერკომპიუტერებს და მძლავრ ლაზერებს იყენებენ ტესტებისთვის ან გახლეჩის რეაქციის იმიტაციისთვის. ახალი ტესტების შესაძლებლობაზე ტრამპმა პირველად სოციალურ მედიაში გამოქვეყნებულ პოსტში ისაუბრა, სანამ სამხრეთ კორეაში შეხვდებოდა ჩინეთის პრეზიდენტ სი ძინპინს. მან ეს საკითხი მოგვიანებით, CBS News-თან ინტერვიუში განავრცო.

აშშ-ის ხელისუფლებამ შეინარჩუნა საცდელი პოლიგონი ნევადაში, სადაც გაგრძელდა სუბკრიტიკული ექსპერიმენტები. თუმცა, შეუძლებელია ბირთვის დაუყოვნებელი სრულმასშტაბიანი გახლეჩა.

„აშშ ვერ შეძლებდა გამოცდის ჩატარებას დღეებში ან კვირებში, მაგრამ გამოცდის დეტალებისა და შედეგების დიაგნოსტიკის მიხედვით შევძლებდით გამოცდების განახლებას რამდენიმე თვეში ან წელში“, განაცხადა ჯილ ჰრუბიმ ნიუ-მექსიკოში, სანდიას ეროვნული ლაბორატორიების ყოფილმა დირექტორმა და ეროვნული ბირთვული უსაფრთხოების ადმინისტრაციის (NNSA) ხელმძღვანელმა. NNSA პასუხისმგებელია აშშ-ის ბირთვული არსენალის შენახვისა და გამოცდისთვის. აშშ-ის ენერგეტიკის მინისტრმა კრისტოფერ რაიტმა, რომლის უწყებაც კურირებს NNSA-ს, მოგვიანებით განმარტა ტრამპის სიტყვები.

**„ჩემი აზრით, ტესტები, რომლებზეც ახლა ვსაუბრობთ, სისტემური ტესტებია,“** – თქვა რაიტმა Fox News-ის ეთერში. **„ეს არ არის ბირთვული აფეთქებები. ეს არის ის, რასაც ვუწოდებთ არაკრიტიკულ აფეთქებებს“.**

ჰრუბის თქმით, აშშ-ის ხელისუფლებას აქვს წინა ტესტებით, ასევე ლაბორატორიული გამოცდებითა და სუბკრიტიკული ექსპერიმენტებით მოპოვებული საკმარისი მონაცემები, რაც, ერთ-ერთი არგუმენტია იმის სასარგებლოდ, რომ სრულმასშტაბიანი ბირთვული გამოცდები არ განახლდეს.

**„გარდა ამისა, თუკი გამოცდებს დავიწყებთ, ცხადია, სხვებიც განაახლებენ ან დაიწყებენ ტესტებს,“** – თქვა მან. **„გამოცდების განახლების შემდეგ, ჩემი აზრით, სავარაუდოა, რომ შეისწავლიან მოწყობილობათა ახალ ტიპს, რაც გამალებულ შეიარაღებას უფრო გააძლიერებს“.**

**„დაბოლოს, მართალია, გამოცდები შეიძლება უსაფრთხო იყოს, მაინც შეიძლება მოხდეს ავარიები. ჩემი აზრით, უმრავლესობა დამეთანხმება, რომ ფართომასშტაბიან ბირთვულ გამოცდებს სარგებელი არ მოაქვს ჩვენი პლანეტის ეკოლოგიისა და კაცობრიობისთვის,“** – თქვა მან.

## გამოცდები რეალურ პირობებში

**აპრილში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა თავისი ყოველწლიური მოხსენება იმ ქვეყნების შესახებ, რომლებიც ასრულებენ შეიარაღების კონტროლის შესახებ შეთანხმებებს.**

ანგარიშში ნათქვამია, რომ განვლილ წლებში რუსეთი ბირთვული იარაღის „ზეკრიტიკულ“ გამოცდებს ატარებდა, მაგრამ ამის შესახებ არ შეატყობინა აშშ-ს ან სხვა ქვეყნებს, როგორც ამას ითხოვს 1974 წლის ხელშეკრულება. ამავე ხელშეკრულებით იზღუდება ასევე მიწისქვეშა აფეთქებების სიმძლავრე.

**„შიშები კვლავაც რჩება წარსულში მომხდარი ამ მოქმედებების გამო, ასევე გაურკვევლობისა და გამჭვირვალობის არარსებობის გამო ახალ მიწაზე რუსეთის საქმიანობის გამო,“** – ნათქვამია ანგარიშში.

ფართო გაგებით ტერმინი „ზეკრიტიკული“ ეხება ატომის გახლეჩის რეაქციას, როცა იზოტოპი იხლიჩება და სრულმასშტაბიან ჯაჭვურ რეაქციას იწვევს. „არაკრიტიკულსა“ და „კრიტიკულამდელს“ ეს არ ეხება.

ვაშინგტონში, მოსკოვში თუ პეკინში მყოფი ეროვნული უსაფრთხოების ქორებისთვის მსოფლიო შეიცვალა. ჩინეთი, რომელიც არ არის ვაშინგტონსა და რუსეთს შორის ხელმოწერილი New START-ის ხელშეკრულებით, რომელსაც მალე ეწურება ვადა, თავის არსენალს აფართოებს. კრემლი თავისი არსენალის მოდერნიზაციას ახდენს და განავითარებს ახალ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტებს, როგორებიცაა „სარმატი“, და სხვა სახეობის იარაღს, რომლებსაც ბირთვული ქობინების ტარება შეუძლიათ, როგორებიცაა „ბურევესტნიკი“ და „პოსეიდონი“, რაც არაორაზროვანი სიგნალია.

კრემლში, უშიშროების საბჭოს სხდომაზე, პუტინმა გაიმეორა ბელოუსოვის სიტყვები და ხელისუფლების წარმომადგენლებს დაავალა, წარმოადგინონ წინადადებები „ბირთვული იარაღის გამოცდების მომზადებაზე მუშაობის შესაძლო დასაწყისის“ შესახებ. მაგრამ მან ამავე დროს განაცხადა, რომ მოსკოვი არ აპირებს CTBT-ის დარღვევას.

თუკი ტრამპის ადმინისტრაცია მართლაც ჩაატარებს სრულმასშტაბიან გამოცდებს, ამით ის ალბათ მოახდენს საკუთარი გამალებული რბოლის პროვოცირებას, ვინაიდან სხვა ქვეყნები, პირველ რიგში ჩინეთი, შეეცდებიან, განაახლონ გამოცდები. ეს CTBT-ს სრულ კრახს უქადის. რუსეთმა 2023 წელს გააუქმა ხელშეკრულების ხელმოწერა. ვაშინგტონმა მას ხელი მოაწერა, მაგრამ რატიფიკაცია არ გაუკეთებია. ადმინისტრაციის ზოგიერთი წარმომადგენელი გამოდიოდა მოწოდებით, გაეუქმებინათ ხელმოწერა. ჩინეთმა ხელშეკრულებას ხელი მოაწერა, მაგრამ მისი რატიფიკაცია არ გაუკეთებია.

**„აფეთქებებით ტესტირება სხვა ქვეყნებსაც გაუხსნიდა გზას იმავეს გაკეთებისკენ. მათ იმდენი გამოცდა არ ჩაუტარებიათ, რამდენიც აშშ-ს და აფეთქებებით ტესტირებით ისინი უფრო მეტ სარგებელს მიიღებდნენ,“** – თქვა **ჩერილ როფერმა,** ბირთვული სფეროს მეცნიერმა და ლოს ალამოსის ეროვნული ლაბორატორიის ყოფილმა თანამშრომელმა. ეს ის ლაბორატორიაა, სადაც აშშ-ის მკვლევრებმა ბირთვული იარაღი შექმნეს 1940-იან წლებში.

სრულმასშტაბიანი განახლება სავარაუდოდ ასევე საფრთხეს შეუქმნის New START-ის ხელშეკრულებას, რომელიც ზღუდავს რუსეთისა და ამერიკის ბირთვული არსენალების მოცულობას, მიაჩნიათ ექსპერტებს. ამ ხელშეკრულებას მომავალ წელს ეწურება ვადა და ჯერჯერობით არავითარი მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს მის გასაგრძელებლად. სექტემბერში პუტინი გამოვიდა წინადადებით, ხელშეკრულების პირობების დაცვა გაგრძელდეს კიდევ ერთი წლით, მას მერე, რაც მისი მოქმედების ვადა ამოიწურება თებერვლის დამდეგს. თეთრმა სახლმა მიანიშნა, რომ მზად არის ასეთი ნაბიჯისთვის.

მაიკ კელი

## ემზარ კვიტაიშვილი

# მართალს ვერ ჩააჩუმებ...



### ვიცოდეთ!

საქართველო თუ დაეცა
და კალიამ გადახრა,
რაც გვაქვს – ძველი და ახალი,
სულ დაგვრჩება პარტახად,
გამოღრუტნულს, აღარავინ
დაგვიყენებს მხარდამხარ.

რონინს, რიონისა, რით ჯობს
რონა ანდა ნემანი!..
სხვა, ჩვენს გამო, არ ინაღვლებს –
ქერა თუ შავგვრემანი,
აღარ გვეთქვას: გვიანია,
გმინვა, თავში ცემანი!

ჭირად გვექცა ზღვა სიკეთე,
ჩვენთვის, ვარდმაც ინარა,
თავზე გვაჯდა მაჯლაჯუნა
და გვჯიჯგნიდა ვინ არა –
გონს მოვეგოთ, ნუ გავხდებით,
მტერთა დასაცინარად!

### დღის სინათლეზე

ვერ ვიტყვი, დიდად ვარ ნაამები,
უწყვეტი ძაფი რასთან გამება!
წამლუნა, წამლებია წამების –
თვალის ყოველი დახამხამება.

ვიზარებ, რა ძალაც გაქვს, დასძარი,
მიდექ-მოდექი, ვიდრე გაქრები;
არა ვარ მომხრე იმ წინასწარი –
სასოწარკვეთის, გულხელდაკრეფის.

ბოროტი, საგმობია გენიაც,
თვით მოიშთობა, ვინაც დაგცოფა;
აშკარავდება, ვის შერჩენია –
შური, სიმუხთლე და თვალთმაქცობა?!

### ვაზნარში გაწოლილი სამოთხე

დაგრაგნილი ტალღები ულაგია ვაზნებად,
ველი რომ გადასეროს, არ ჭირდება მას ნება,
ალაზანი მიშხუის, განა მიიზლაზნება.

სიღნაღიდან გავხედე, ავირიე, ავიგზნე,
სულ ასე მემართება, არ გეგონოთ ავი ზნე,
ისევ საინგილოა – ჩემი გულის სამიზნე.

გინდ – ხარები შეაბი, გინდა – ცხენი აჭენე,
იმედგაცრუებული, რჩებიან მოაჯენი,
ყმობა მერგო, ტყვეობაც,
აზნაურად გაჩენილს.

### მეექვსე წელიწადი

ძმაო რეზო, გულები რამ გაგვიქვავა ასე?!
აგიტანეთ და დაგტოვეთ – მწვანეყვავილაზე.

ძილს სადრელი, გასუდრული,
იქ ხარ იმის მერე...
შლუ, დაშლილი, მე, რიღასი ვიყო
მოსიმღერე!

სიზმარში თუ მაინც ხედავ – მამულს,
ძაძით მოსილს...
ნახევარიც აღარ დარჩა შენი სამკვიდროსი.

კლდეზე მისაჭედებელმა,
რას მოვჭიდო ხელი!
ქართა საბუდარში ვსახლობ,
ტყვიადასახლელი

ვებღატები საწუთროს ჯამს, გალეულა კოჭა...
მოუღლელი, რა ნაღველმა დამცა
და შემბოჭა?!

### თაობა გაიკრიფა

ვდნებით, ვქრებით, ალალმა
დაგვიქროლა ვითა;
რას მივაწყდე, ხმა ყველამ
ერთად ჩაიწყვიტა.

ყორნისფერი, ისე გავს, აფარიათ ბადე...
სახე არ დამანახვა, ვისი მირქმაც ვცადე.

ბევრჯერ, მათი სულები,
შევავედრე ცარგვალს...
დაზნეულმა, ამ ყოფას, მარქვით,
რა დავარქვა?!

აქამდე რაც გადამხდა, არ ვუსურვებ
მტერსაც;
დაგიბრუნდეთ ყოველი, ლოცვად და
ალერსად!

დენთი რომ შემომინთო, საუფლოა, ზემო;
დამკარგავმა, ამდენთა, რაღა დავიჩემო?!

### ვიზნევი

(მოსაშთოზის მონოლოგი)
თვითონაც ვერ მივმხვდარვარ,
ხერხია თუ ფანდი!
ვინ შეკრიბოს სიმდიდრე, ჩემგან განაფანტი?

სულ არ დამჭირვებია – ოფლი, წელში მოხრა;
მომდიოდა იოლად, გაურჯელად, ოხრად.

ხელუკუღმა მოსროლილს, არ ვითვლი,
არც ვწონი;
ასე განიავებაც არ ჩანს მოსაწონი.

ჩემებრ მუშაითობდეს, არ მინახავს არსად...
სხვა ვერ წარმოაჩენდა – ამის ნახევარსაც.

გლოცავ, ძველი აივნის
შეუცვლელო ხედო!..
ვითომ რა დაშავდება,
ერთხანს ვიღერღეტო!

### დატყვევებული ძეგლები

(საპატრიარქოს არხი)
წუხელ შემომანათა დაზზარულმა იშხანმა...
ნაფლეთებმა, ფრესკების, გულ-ღვიძლი
მომიშხამა.

გუმბათს, დამრეც სახურავს,
თითქოს მეხი დახლია...
მიუწვდომი, გონისთვის, სხვა ცა,
სხვა სიმაღლეა.

ბარბაროსებს ეწადათ მისი გამეჩეთება...
წამახული მარჯვალი ტანზე დამეჭედება.

დაგვიყენა ურჯულომ დღეები მწუხარების,
კედელს შერჩა სილურჯე დაჯიღნილი
„ხარების.“

დამელეწოს ძვლები და შემომაცვთეს
სამოსი –
ჯავრი არ დამეხსნება, დაოსებულს, ტაოსი.

თვალის არ ღირს გახელა,
გულსაკლავად შებინდდა...
გვეტყობა – რა ვიყავით,
ჩვენი ნანგრევებითაც.

### წართმეული ზღვის მონატრება

ის ქალი, უჯკნობელი, ცალკეა,
ცალკე – სიბერე ჩემი,
მას ვერ გაკაწრავს ერთი ნაოჭიც,
მე – პირქვე დავეცემი.

თეთრი კორპუსის ბოლო სართული,
ღია ვერანდა, კაფე...
უწყალო, იმის მერე დამეწყო –
დაკარგვის სიიაფე.

დაბლა, ბიჭვინთის სანაპიროზე,
რწევა ქარდაკრულ ლელთა...
ცახცახა, შემოჭერილ თითებში,
გრილი სხეულის ელდა.

ვინ მაღირსებდა მეორედ,
მაშინ რა ნეტარებაც ვცანი!..
იქავე, მიმოგრეხილი ბზების,
თეთრად ბზინავდა ტანი.

ძვირად იტყვიან, ვერვინ დამწამებს,
ვგავდე მაძებარს სიძვის...
ძნელია, გადაირჩინო თავი,
თუ ერთხელ გადაიწვი.

* * *

სრიალი დროთა ვიღას არ მოსრავს,
ვადარებ ადრინდელს და გვიანდელს;
ვიდრე შენამდე შევძლებდე მოსვლას,
ცრემლებით უნდა შევნამიანდე.

უძილო, ურჩი, სხვა მანძილს ვკეცავ,
ასე ჩვევია მოდგმას მხატავთა;
თავადვე გადავიფარებ ზეწარს,
გამოზომილი გზა თუ გათავდა.

წყვდიადში, გინდაც გამიწყდეს ქანცი,
გაგჭედავ, გაქცევ ოქროს ბწკარებად;
მიუწვდომელი, შენა ხარ განძი,
ვისაც სიბერე არ ეკარება.

გულო, რამდენი წრე შემორკალე,
დაგორავს ჩემი ჯავრის გორგალი...
სად წაუვიდე, არ დამელევა –
საგოდებელი და საზორგალი.

### ყველაფერს ვერ ახსნი

ბევრ რამეს ბიძგი ჭირდება ციდა,
ბროწეულს შავი სისხლი ვადინე...
ფოლადის დნობას თან ახლავს წიდა,
ვერ მოვთვლი, რისიც ვარ მოწადინე.

მანაღვლებს ხილვა დანგრეულ ბუდის,
ზოგჯერ, სიცოცხლე არც ღირს წვალებად...
მშხამავს მოსმენა ამბების, ცუდის,
სულს მიდგამს დილა – მზის მოწყალება.

გზად, ხიფათს გადაეყრები, ათასს,
გულს მოწამლული ისარი კოდავს,
ვუცქერი, რასაც ბუნება ხატავს,
შრიალებს მუხა, გაზრდილი რკოდან.

გადავილიე, არ დადგა სხვა დრო –
სიბნელის, მოვსწრებოდი ოტებას;
ნატრიალები, აქამდე ვნატრობ:
ძირი გაუხმეს – შურს, ბოროტებას!

### რეზო ინანიშვილის სახლთან

(კანდელაკის N65)
ვეჭვობ, არ გენატრებოდეს –
იორი ანდა ქცია...
რეზო, ძმობილო, მითხარი,
ბრინჯაოდ, რამ გაქცია?!

ქვესკნელი გფარავს, მზის აღარ
გელამუნება სხივი,
გვერდით გყავს ორი პოეტი –
ის ჩვენი ორი გივი,
სულ მახსოვს თქვენთან სტუმრობა,
ოქრო დრო, ღვთაებრივი.

რარიგ მწარეა, მწერლობის,
გაგვიღარიბდა ყანა...
ალალმართლობა, სილაღე,
სად ჭირში ჩაექანა?!

### გულით მოსანატრებელი

გაცინება და სიტყვის თქმა, ლხინი,
კოლხური თავაზი,
არვისთან შესადარია – გურამის,
ჩალიგავასი.

მხარს მოგცემს ძმობის გამწევი და
უღალატო საყრდენი,
იმას ვერავინ იხილავს – უკანდახეულს,
წახდენილს.

კაცობად ისიც ეყოფა, ყოფნა რომ
გაგვილამაზა;
ვინმესთან რამე შეშლოდეს,
ვერ გაიხსენებთ ამასაც.

მტერ–მოყვრის იცის დახვედრა,
სახლს უვლის, მაღალჭერიანს,
იცხოვრა ლაღად, ალალად,
ასე „ჰარირას“ მღერიან.

ვერაფრით შევეგუებით – სიგლახეს,
დროის მოტანილს;
რკინის მკვნეტელნი, მისთანა,
მამულში, დარჩნენ ცოტანი.

### მიჭირს მიხვედრა

რისი განცხრომა და ნეტარება,
რა მრჯის, რომ ათასნაირად ვირთვი?!
წელში გაგწყვიტავს მისი ტარება –
უძნელესია სიცოცხლის ტვირთი.

ფათურობს ფათერაკი, ხიფათი,
მხრებს რაც აწვება, ცოტამ თუ ზიდა...
ძალზე მცირეა რიცხვი იმათი,
ვისაც არ გადუხვევია გზიდან.

ხშირად (ეს ცალკე გულსატკენია!)
შეუსმენელი მრჩება მუდარა;
სხვათა შავ ბედზე ცრემლი მდენია,
თვალმა რა ძებნა, რას შეუდარა?!

ვერ მშველის გაბრძოლება, ნამეტი,
გამორჩეული ვიყო რამეთი,
ფერმიხდილს, გამაჟრიალებს ტანში –
გასავლელი მაქვს რა ყიამეთი.

### ვერ გადამიწყვეტია

გრძელდება ჩემი სხეულის ძარცვა,
ვიხსენებ ჩხრიალს დამშრალ წყაროთა...
ზოგჯერ მგონია, ცოცხალი არც ვარ,
თითქოს ხმას გაწვდენთ სხვა სამყაროდან.

არ გამიმეტა, ცის უბე მნამავს,
თავს ვეტყვი: შენი წილი გათიბე!
გვიანი გაყლორტილია, ამას,
მეტი ექნება შნო, სინატიფე.

გაშვერილია გაჩენის დღიდან,
არ დამიზოგავს ყელი, სადანე,
მიმიხვდებიან, რა ხელი ქმნიდა,
ნახავენ, ძირში რაც დავატანე.

შემორჩენილი, მიტევს ცდუნება,
ვეზომვი, რას შევება ხვალიდან,
სიმაგრე ნაკლებ დაეწუნება,
მოქნეულს, ნახევარი ძალითაც,
გალიაში ვერ ჩავიკეტები,
ვჭოჭმანობ – დავრჩე რის მაგალითად!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულითადად მიესალმება გამოჩენილ ქართველ პოეტს, პუბლიცისტს, დოკუმენტური პროზის დიდოსტატს, მთარგმნელს, მეცნიერს, საზოგადო მოღვაწეს, ჩვენი გაზეთის ერთგულ ავტორსა და მეგობარს ემზარ კვიტაიშვილს და ულოცავს დაბადებიდან 90 წლის იუბილეს!

ჯანმრთელობისაც მრავალი შედევრით გაგვეხარებინოს მკითხველის გული, ბატონო ემზარ! გწყალობდეთ ღმერთი!

# სარკმელში მომზირალი მთვარე

**წარსულში ვერ დაგელაპარაკები. შენ ისევ ჩემთან ხარ: პატარა, გალეული, ნიავივით მსუბუქი, პეპელასავით ნაზი, იასავით საფერებელ-მოსაფრთხილებელი. პატარობისას ყველაზე სათუთი იყავი ჩვენთვის. ჩვენი წარმოდგენით, გამჭვირვალობდით ვითომ, განებივრებდით კიდეც. ეტყობა, დედის გული რაღაც დიდ სადარდებელს ხედავდა მომავალში და ნინა თავგადაკლული ცდილობდა, წარამარა შემოეგებებინა შენთვის საფერებელი სიტყვა, მოესწრო სიყვარული, მთელი სიცოცხლე მოეძღვნა. კიდევ კარგი, მისთვის გადაუტანელ დარდს გაასწრო! თუმცა, მჯერა, იქაც ემდუღრებოდა გული ზემოდან შენს შემყურეს, შენს ყოველ ამოსუნთქვას რომ დარაჯობდა ზეციდანაც. როგორი ბედნიერი იყო დედაშენი შენი შვილობით!**

**მგონია, ის დღე მახსოვს-მეთქი, რაკი აღარასდროს გამნელებია ზეზიაქალი შემოდგომის ხორკლიან-სუსხიანი ხელების სითბო.**

მეტი როგორღა ჩაგვახედოს საკუთარ სულში, საკუთარი სულის სარკეში, მეტი როგორღა გაგვაშიშვლოს საკუთარი სინდისის წინაშე:

**ჩვენ, გენაცვალე, ღმერთიც ტანჯული გვიყვარს და ზედში მყოფ მოყვასს, ანუ მეზობელს ვით შევიყვარებთ?**

ეს ზეინაბს შეგიძლია, თითქოს, უბრალოდ, მაგრამ საოცარი ლირიზმით გაგვიმხილო:

**წამომეწია ტბის ზედაპირიდან ალოკილი ნიავი. მომელამუნა ზურგზე ისე, რომ კადნიერი გამიჩნდა აზრი: ხომ არ ინება შემოქმედმა თავის ქმნილებაში კორექტივის შეტანა-მეთქი.**

ეს უკვე მოკრძალებული ავტოპორტრეტია, შენმა ახლობლებმა ვიცით:

**ჩამოვდივარ ქალაქს შინა, უცხო ქალაქე-** თავისუფლების ფასი? ვინ თუ არა მან, იცის. ამიტომაც ლამაზი, მოზომილი, ტაქტით თავისუფლების მაძიებელთ არ უჭერს ამ უფლებას, არ ზღუდავს, ძალადობა მისთვის უცხო, მიუღებელი, შეურაცხმყოფელია: **„არ მინდა შინ: კატები, ძაღლები, ოქროს თევზები, იადონები, მოკლედ – ტყვეები“** და აკი, კიდევაც ვერაფრით შეასრულა დამატყვევებლის როლი ცხოვრებაშიც. თუმცა, თავისუფლების მოყვარეობის მიმნიჭებელი თავად ხდება გადასარჩენი:

**SOS!**
**გადასარჩენია „მე“**
**ანუ სარაძე ზ. ო.**
**ყველა ნერვულო უჯრედო, სმენა!**
**იმედო, ნუგეშო, სასოებავ,**
**სიმტკიცევ, სიამაყევ, რწმენავ,**
**ჩემსკენ ნაბიჯით იარ!**

ეს უკვე მტკიცე, გმირული განაცხადია, საკუთარ თავზე მორევაა, რაც იოლი სულაც არ გახლავთ.

# «წვეთად დამცემია უკვდავების წყალი...»

## 26 ნოემბერი ცნობილი ფილოლოგის, ლიტერატორის, მთარგმნელისა და პოეტის ზეინაბ სარაძის დაბადების დღეა. ჩემო ზეინაბ, ძვირფასო, ლოცვად მიიღე ეს ჩემი ფიქრები ზეციურ საქართველოში!

ნათელა ქიმერიძე



ოცდამეერთე საუკუნის გარიჟრაჟს ნაღვლიანი იმედით შეხვდი. გაგამხილა მარგალიტებად ასხმულმა შენმა მოკრძალებულმა, შენსავით პაწაწინა, 2000 წლის გამოცემამ. იცოდი, რატომაც ასათაურებდი ასე: „ავტონაწილები“. ამ პატარა, მაგრამ გულითა და სიყვარულით, ამასთანავე, დიდი წუხილით აღსავსე, ზევრის დამტევი წიგნის დაბადება ჩემთვის არ გაგიმხელია. ვერიკოსთან ვნახე და ვთხოვე, ეთხოვებინა ჩემთვის, ოღონდ, შენთვის არ გაემხილა, რომ მისი არსებობა ვიცოდი. რატომ არ „გაიმეტე“ ჩემთვის მისი ჩუქება, არ ვიცოდი. როცა წავიკითხე, მივხვდი. ამ ობოლი მარგალიტივით შემოქმედებაზე ჩემი ნააზრევი ფურცლებს მივანდე, მაგრამ არ გამომიქვეყნებია. უამრავ რამეს, პირველ რიგში კი შენ გიფრთხილდებოდი. კალმის წვერს მომდგარმა სათქმელმა, ცოტა არ იყოს, დამაფიქრა. მრავალი მენიშნა. ახალი არ იყო ჩემთვის შენი სულის ტკივილები, ჩვენ ხომ ბავშვობიდან ერთად მოვდიოდით და ერთმანეთის სულის სულ მცირე შეტოკებასაც ვგრძნობდით! გაგიფრთხილდი კიდეც. საკუთარმა ნაწერმა შემაშინა. მეგონა, ყოვლისმხედველი შენი მზერა უჯრაში დავანებულ ამ საგაზეთო წერილსაც მისწვდებოდა. რამდენჯერმე ვუცვალე ადგილი, უკეთ რომ გადამემალა დროებით მაინც. რამდენჯერაც ხელში შემიყვებოდა, ისევ ვუცვლიდი ადგილს. მერე, როცა უკვე ცად ახვედი, მოვისურვილე ჩემი აზრის პრესის ფურცლებზე შენი წიგნის რეცენზიასავით გახმიანება, მაგრამ ნაწერს ვერაფრით მივაგენი. ბოლოს მივხვდი, თავიდან, ახალი პრიზმიდან უნდა შემეხედა შენი ყოველი სტრიქონისთვის, ახალი გადასახედიდან დამენახა.

და აი, გხედავ: ტკბილი ძილით სძინავს შენს ორ უახლოეს არსებას. „ამაო ფუსფუსით ნაგვემმა სხეულმა ეს-ესაა, ჩამოიხსნა მთელი ფუთი დღე“. გრძელი დღისგან გადაქანცული, ელექტროლამპის შუქზე უზიხარ მაგიდას, დაღლილობის ტკივილს „მშვიდი უაზრობა(...) ედება მალამოდ“ და ნააზრევი ქაღალდზე გადაგაქვს. ვინ იცის, ვიდრე შენს საყვარელ მაგიდამდე მიაღწევდი, მიწიერ საზრუნავსა და გაწამაწიაში რამდენი ხატება, ფერი და რითმა თვალ-ხელ-შუა უკვალოდ გაგიქრა, ვიღაცემმა აგაცალეს?! მათ ვერანაირი მოხმობით უკან ვეღარ გამოიწვევდი, ანდა, ზუსტად ისეთს ვეღარ მოიყვანდი, ვეღარ დაიბრუნებდი.

„მე?.. არაფერი... უბრალოდ, შენი ხელები მიყვარს, ძვირფასო!“ – ამ სიტყვების ადრესატი სულაც არ არის პიგმალიონი. გული მეწურება: შენ, რომელიც მთელ სამყაროს იტევ წარსულ-აწმყოთი, კერიის სიყვარულმა, დიდმა სიყვარულმა მიგაჯაჭვა „გაზქურის მცველად, სამზარეულოს ინტერიერში და ინვენტარს შორის, ფეოდალური აღმოსავლეთის საშური სისასტიკით, ჭრი, კეპავ, ზეგვავ, წვავ, დაღავ, სუნთქავ ოჯახის წევრთა საყვარელი კერძის ინგრედიენტებს“. სხარტი გონების, სტრიქონებად ჩამოქნის ოსტატი, ნააზრევთა მდიდარი საზადოს პატრონი, საკუთარი თავის გაძარცვის ფასად, სხვებს უქმნიდი ყველა პირობას გამობრწყინება-აღიარების. რამდენი გააჩუქე შენი გონების ნაჟური, აუწონავი ოქროს ზოდების სადარი შენი გონების საგანძურიდან?!

და ყელყელაობდა, ხარობდა „ეგოიზმის სასტიკი მშვენიერი ყვავილი“, შენ კი გაძარცული, „ებღაუჭებოდი სიტყვას, როგორც წყალწაღებული – ხავსს. უსასოობის მდინარეს ასე უსინჯავდი ფონს“, სანთელივით ანათებდი და იწვოდი, დნებოდი, იღვენთებოდი, რასაც ის, ვისაც პირველს უნდა დაენახე ჩაქრობის პირზე მისული, ვერა და ვერ გხედავდა. ო, ამ დაწყევლილი „ეგოიზმის ყვავილის“ სისასტიკემ როგორ არ დაგინდო ფერიასავით ნაზი, ნიავივით მსუბუქი, ნიბლია ჩიტი!

ერთგან გულნატკენს, აკი, დაგცდება კიდეც: „ზინდდება, სარკეს აღარ გავურბი“. განაჩენიც თავად, საკუთარი ნებით გამოუტანე თავს:

ვებღაუჭები სიტყვას, როგორც წყალწაღებული – ხავსს. უსასოობის მდინარეს ასე ვუსინჯავ ფონს.

როგორ წარმოვიდგინო შენგან „სიტყვას ჩაბღაუჭება“?! „წყალწაღებულის ხავსს მოჭიდება“ ვისგან – ზეინაბისგან?

შენთვის, თურმე, გულუხვად მომადლებულ მადლს, საკუთარი თავისათვის იმეტებდი მცირედზე მცირედს: **„თუ ამ დღესაც შევატეხე პწკალი, ვითომ წვეთად დამცემია უკვდავების წყალი“**. მთელი ცხოვრება უხვად მოსაგებელისგან მცირედითაც იყავი კმაყოფილი.

ო ო ო, რა ახლობელია და რა შორეული გარდასული ჩვენი ბავშვობა! ადრე თუ გვიან, წარსულით ცხოვრება ყველას მოუწევს. „შორეული პეიზაჟით ვტკბები. მეუფლება ნეტარება, ბავშვობისას ჩითის ჭრელაჭრულა ნაკუწებით შეკერილი საბანი რომ მგვრიდა“, ამბობ ერთგან. მეც მენატრება ნინას შეკერილი არა მარტო ის საბნები, არამედ – ჩვენთვის შეკერილი ზიზილ-პეპლებიანი კაბები. ჰო, ჩვენთვის, სამივე ბავშვისათვის! მე ხომ მისი „უფროსი შვილი ვიყავი პირველი ქორწინებიდან“! განა ერთხელ ასე მოხერხებულად არ „გაუმხილა საიდუმლო“ ჩემ – თბილისში ჩაუწერელი ავადმყოფი ბავშვის გასასინჯად შინ მოსულ უბნის ექიმპედიატრს ჩემმა ბიძაშვილმა ნინამ?!

ეს ზეინაბს შეუძლია, იყოს მკაცრზე მკაცრი, მომთხოვნი, საკუთარი თავისადმი, რაც ერთგვარი ბრძნული რჩევაა შემოქმედებაზე პრეტენზიების მქონეთათვის:

**წვავ, რაც ბოლო წლებში დაგიწერია.**
**ეს გაძლევს ძალას, დაწერო ის,**
**რისი დაწვაც მომავალში ახლის**
**დასაწერად მოგცემს ენერგიას.**
**დიახ, სწორედ ისე, როცა დედამიწის**
**გარეთ გადიან...**

საოცარი უნარის მქონეს, შეგეძლო, დაგენახა სხვათათვის არათვალხილული. შეგეძლო, შენეულ ქურაში გამოგეწრთო, მეხსიერებას აღებეჭდა სხვათათვის მიუწვდომელი, თვალის ახელისთანავე გაგესიგრძეგანებინა დამხვდური რეალობა.

ალბათ, ზედი იყო ესეც:

**მე რომ დავიბადე, იდგა გვიანი შემოდგომის უმზეო დილა. წამოეფერფლა თოვლს. გარეთ თრიმლის ბუჩქი ღუოდა,შინ – ნაპობი ხე.**

**ლებს შორის, ვიღიმები, როგორც მინდვრად უსახელო ყვავილთ შორის.**

მოდი და, შეედავე რომელიმე ჭეშმარიტ შეგონებაში:

**როგორც ფოტოფირზე ზოგჯერ კადრი კადრს დაედება და გამოსახულება აირევა, ასე ერთ განცდად აწმყო და მოგონება დაგაწყდება, ფეხქვეშ ნიადაგს გამოგაცლის და პატარას წაგავარჯიშებს იმ ყოფნისათვის, სადაც არ არის გარჩევა დროში: ნამყოს, აწმყოს და მყობადს შორის.**

ზღაპარში ჩაგრჩა ბავშვობა. ალალი, მიამიტი დარჩი, ამით კი სინამდვილემ, აწმყომ იზეიმა:

**მეშვიდე კლასში დავდგით სპექტაკლი. იქ მე ვთამაშობდი გოგონას, რომელიც მოხვდა მრუდე სარკეთა სამეფოში,საიდანაც – დამიჯერებ? – ვერ დავბრუნებულვარ დღემდე.**

არა მარტო ღიმილისმომგვრელი, მრავლისმეტყველი, გულისტკივილისეული მინიშნებაა:

**ვეუბნები ქმარს: – ერთადერთი ქალი, რომელზეც ვეჭვიანობ, რეტროსპექტივაში – მე.**

რა არის ეს სტრიქონები, თუ არა – ჭეშმარიტება, რომელსაც ხშირად ვერ ვითავისებთ?

**მაინც რაოდენ პასუხსაგები აქტი უნდა იყოს სიკვდილი, თუკი ყოველი ღამე მიაქვს იმის რეპეტიციას.**

ჯობდა, ამ სტრიქონების ავტორს თავად ეპატრონებინა თავისი შემოქმედებითი მოსავლისათვის, მაგრამ გვჯერა, დედისერთა ელენე მიხედავს დედისეულ პატარა ფურცლის ნაჭერსაც კი:

**როგორც ზოგიერთი თევზი – ოქროსიც კი – მუსრს ავლებს ხოლმე თავის ნაშიერთ, მეც ვანადგურებ ჩემს ლიფსიტა ე.წ. ნაწარმოებებს. გულში კი ვნატრობ პატრონის გამოჩენას, ცალ-ცალკე წყალში რომ გადაგვსხამდეს.**

არა მგონია, ასე იოლი იყოს ასე ლამაზად გამოთქვა გულისტკივილი:

**შენ თუ წახვედი? ბინა შეიძლება, მაგრამ ვეჭვობ, დამიტოვო სარკმელში მთვარე.**

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ უცხოა მონატრება. ო, რა ძლიერია მონატრება, თავგზას რომ აგიბნევს, სიცოცხლეს ჯოჯოხეთად გიქცევს:

**წელს პირველად არ დადგა გაზაფხული, სხვათა შორის, შენი წყალობით, ძვირფასო.**

დიახ, მაინც „ძვირფასო“! დიახ, მაინც მონატრებავ!

ახლა ხატოვან, ორიგინალურ სურათებს არ იკითხავთ?! რომელი ერთი გნებავთ. აი, თუნდაც, ეს:

**ვერაფერს ვიტყვი. მართლა გადასარევი მაკიაჟი აქვს ჩვენი ჩამოფხავებული ქალაქისთვის ბუნებას – გაზაფხული.**

ან, თუნდაც:

**როგორც გაუგზავნელ წერილს, ეკიდება ღრუბლის ფთილას ალი ჩამავალი მზისა.**

მოდი, სცადე და სხვანაირად თქვი სათქმელი:

**ჭკუასთან, ეტყობა, მართლა მწყრალად არის mademoiselle გაზაფხული.**

აბა, ასე პირდაპირ როგორ გაიგო გამოთქმა:

**სილამაზე მოითხოვს მსხვერპლს?**

და არ დავმალავ: შენი სულის სილამაზის, შენი სულის მშვენიერების მსხვერპლი აკი კიდევაც გახდი, ჩემო ზეინაბ!

ანდა:

**ქარია. ჰგავს ქვეყანა შეშლილის ფიქრებს?!**

თუნდაც:

**გარდაიცვალა ჩვენი ხანში შესული მეზობელი, აივანზე კი იმის გაფენილ სარეცხს დაუდევრად აფრიალებს ქარი.**

ესეც:

**მზე ჩადიოდა და თავის**
**გრძელ ოქროს ხელებს**
**საშველად მაინცდამაინც**
**ჩემსკენ იწვდიდა.**

დიდება გამჩენს!

**ისე ჩაუყუჩდა იმ დღეს, ეტყობა, დილიდანვე ვიღაც ლოცულობდა შენთვის.**

ყველა ვლოცულობდით, ჩემო ზეინაბ, შენი გადარჩენისათვის. დილიდანვე ვლოცულობდით. უფალმა ისმინა და თავის თავზე აიღო შენთვის ტკივილების ჩაყუჩება. 2024 წლის 12 აპრილს აგიყვანა ხელში და ჩაგიკრა გულში ნიბლია ჩიტივით.

●

უფალმა აგისრულა შენივე ნაწინასწარმეტყველი:

**ღაღანებდა ყვავილების ზღვა.**

**მიმოვქროდი ზედ როგორც მინდვრის დედოფალი.**

მინდვრის ყვავილად, დედოფლად აკი კიდევაც დარჩი!..

●

გოლოს როდის ვიყავი შენთან? ჰო, 2017 წლის 26 ნოემბერს – შენი დაბადების დღეს. ყველა დაგხაროდით.

ეს სიხარული კი შენ გვაჩუქე, ყველას გულში გვიკრავდი. საჩუქრების შეკვრებს სათითაოდ ხსნიდი და მადლიერებისგან ღაღანებდი შემოდგომა წამოპარებული მინდვრის ყვავილივით. ო, რა ბედნიერი იყო ელენე! სიხარულად, სიყვარულად დაიღვარა შენი, ასევე, ერთადერთი შვილიშვილი კესარია, სიყვარულით მუდამ კესუნად რომ მოიხსენიებდი. არ მეთმობოდი, მაგრამ წამოვედი. ომარი მელოდა შინ, მის ავადმყოფობას როგორ განიცდიდი!

უბრალოდ, სადად, გამოიყურებოდა შენი გემოვნებით გაწყობილი ბინა, მდიდრად გამომზირალი, სულ მცირედი უბრალოებაც. დიდი, ლამაზი სული ტრიალებდა პატარა დიდი დიასახლისის. თან გამომატანე შენი ხელითვე აწყობილი „ბიბლიოთეკის დალაგება", ამონარიდი „What's on your mind?" – რას ფიქრობ?" (2015 წლის 21-ე ნომერში გამოქვეყნებული ჟურნალიდან „აფრა"). დავაბიჯებდი ვისთვის შესაშურებელი შენეული ცოდნისა და ნააზრევის, ერუდიციის საუფლოში, რომლის შექმნაც მხოლოდ შენ შეგეძლო – შენეული, ღრმა, უძირო, ამოუვსების.

მახსოვს, როგორ განიცადე ჩვენი ოთხფეხა, ლამაზისეული მეგობრის კიკნას უკურნებელი სენით ავადმყოფობა, ნაოპერაციევი მოინახულე და, ჩემი წილი მინდა დავიდო მის გამოჯანმრთელებაშიო, გვარიანად გარჯილიყავი. შენ ყველასა და ყველაფრის სიყვარული, ერთგულება შეგეძლო.

იმ ავადსახსენებელი კორონას წლებში, ერთ დღეს ტელეფონის ზარი გაისმა. შენ იყავი. გამიხარდა. კარები გააღე და მიხედეო, მითხარი ნოგათზე, სურსათით სავსე პარკებზე სადარბაზოს უჯრედში დადგმულ მაგიდაზე რომ მოგეთავსებინა. შევიცხადე. ლიფტთან არავინ იყო. უმალ გამოვვარდი აივანზე. თვალი მოგკარი, მეზობელ კორპუსს ეს-ესაა რომ უნდა მიჰფარებოდი. შინ არ შემოხვედი, ინფექცია არ მოგიტანოთო. განსაკუთრებით ომარს გაუფრთხილდი.

– ზეინააბ! ზეინააბ! – გეძახდი. სახე უკვე აღარ მოგიჩანდა, ზურგს ვკიდე მხოლოდ მზერა, პატარა ზურგს, რომელმაც ამდენი და ასეთი ტვირთი ატარა და უნდა ეტარებინა. თურმე, კიდევ უნდა ეტარებინა, მერედა, როგორი! ასეთი დამრჩი ხსოვნაში. მეტჯერ აღარ მინახავხარ. როცა ომარი ზეცაში გადავიდა, კარგა ხანს დუმდი. ბოლოს დარეკე.

აქამდე მიმალავდნენ, ახლა გავიგე, ძმა აღარ მყოლიაო, ძმა საყვარელი, მერედა, როგორი ძმა, ყველაზე ამაგიანი! შენ ხომ იცი, ომარი როგორ მიყვარდა?! მე მისი ყოველი სიკეთე მახსოვს, ირგვლივ არავინ მეგულება, ასე უანგაროდ მიეგებებინა ყველასათვის სიკეთეო, მითხარი. ტიროდი. გიჭირდა ლაპარაკი და მერე როგორ, თურმე, თავად გაუგონარი, უკურნებელი, უიშვიათესი სენით დაავადებულს. გონება უკანასკნელ წამებშიც მუშაობდა, აქეთ კითხულობდი ჩვენს ამბავს. „ნათელა ისევ რომშია?", „გაგა ჩამოვიდა?", „თაკოსაგან რა ისმის?". ტუჩების მოძრაობითა და მივარდნილი ჩურჩულით გიგებდნენ სათქმელს. არ მაჩვენეს შენი თავი, რათა მეხსიერებაში დამრჩენოდი როგორც მერცხალი, გასული საუკუნის წლებში ნავარდს, მაღლა-მაღლა ზეცას ფრენას რომ იყავი ჩვეული.

შენ ისევ ჩემთან ხარ, ჩემთან ხარ ლოცვებში.

ბარაქალა შენს ქალობას ამდენის გადამტანმა გაუსაძლისს შემართებით რომ, გაუმკლავდი! ბარაქალა ამდენი სითბოსა და სიყვარულის ჩუქებისათვის!

ის პირველი – 1974 წლის მაისის თვის სამგზავრო სანუკვარი ბილეთი, წიგნის ყდაზე რომ უკვდავგიყვია, აღმოჩნდა... უკანასკნელი სამგზავრო ბილეთი. თურმე, მაისში მართლაც გაეთამაშა ბედი.



ესეც ბედი გახლდათ: უკურნებელმა ულმობლობამ მინდვრის ყვავილებიდან შენ ამოგირჩია.

**შენ მინდვრის ყვავილად დარჩი,**

**შენ ხომ წვეთად დაგცემია უკვდავების წყალი!**

**ნათელა ქიმერიძე**

# ვისწავლოთ, ვიცოდეთ წარსული, თვალი გავუსწოროთ მომავალს



**დავით ახლოური,**

**საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის ორგანიზაციის თავმჯდომარე, გორის უნივერსიტეტის პროფესორი**

## ქსნისხეობელი გლეხკაცის ვალი

**1888 წელს ქსნის ხეობის შესახებ „ივერიაში" რამდენიმე წერილი გამოქვეყნდა ძმუისელის ფსევდონიმით. 1888 წლის 27 ივლისის ნომერში ავტორი ყურადღებას ამახვილებს ქსნის ხეობის ბუნებრივ სიმდიდრეზე, შესანიშნავ წარსულსა და აწმყოზე.**

მხატვრულად აღწერს ხეობის გეოგრაფიულ გარემოს: **„მტკვრიდგან დაწყებული სოფ. კორინთამდინ, 35 ვერსის მანძილზედ, ხეობა ცოტა უფრო განიერია, კეკლუცია, ვენახებითა და ბაღებით მდიდრულად მორთული, და შიგ სოფლებია გაბნეული. შუაში მდინარე ქსანი მიჰქშინავს და რწყავს გარშემო ატეხილს ჭალებს, ვენახებსა და ბაღებს, თუმცა-კი ძუნწად. სოფ. კორინთიდგან ხეობა ძლიერ ვიწროა, ასე რომ ტყით შემოსილი მთები პირდაპირ ჩაყუდებულან მდ. ქსანში. ქსნის ხეობა შუა წელს ზევით იყოფება რამდენიმე ვიწრო ხეობად. ქსნის ხეობა კარგა გ(რ)ძელი ხეობაა, თოთხმეტიოდე სოფლის საზოგადოება ხალვათად არის მოთავსებული".**

ამას მოსდევს ხეობის დემოგრაფიული და ეკონომიკური ყოფის ანალიზი. ავტორის გამოთვლით, ქსნის ხეობაზე 1500 კომლი უნდა ყოფილიყო, ისინი ხვნა-თესვის გარდა მისდევდნენ მეცხვარეობასა და ხელოზას. აქ ცხოვრობდნენ ქართველები, ოსები და სომხები. ოს-ქართველები საბატონო ყმები იყვნენ. ოსები მაღალ მთა-გორაკებზე ბინადრობდნენ, სომხები, როგორც ვაჭარი ხალხი, ხეობის შუა წელს იკავებდნენ და აქედან რამდენიმე დუქნის მეშვეობით მთელ ხეობაში იყვნენ მოდებულები. თავად-აზნაურობის ერთ ნაწილს მკვიდრად მოუკიდია ხელი სოფლის მეურნეობისათვის და დაუმშვენებია ზვრები და ბაღები, ნაწილი კი მეცხრამეტე საუკუნის ბურუსში რჩებოდა ისევ. წერილის ავტორი, ახალგორის გარშემო მცხოვრებთაგან განსხვავებით, დადებითად ახასიათებს ხეობის შუა წელს ზემოთ მცხოვრებ ქართველებს: **„ხეობის შუა წელს ზევით მკვიდრნი ძველებურად მამა-პაპურად სცხოვრობენ; ზნე-ხასიათი, სიმდიდრე და გამრჯელობა შერჩენიათ. ხოლო ქვეითა ნაწილი, სოფ. ახალ-გორს გარშემო, გაღატაკებულა და ზნე-ხასიათიც შებღალული აქვს".**

ავტორი ხაზგასმით უთითებს მეთუნეობით ცნობილ სოფელ ცხავატის თიხის ყოველგვარი ჭურჭლის საუკეთესო თვისებებზე, რის გამოც მასზე დიდი მოთხოვნილება იყო, მთელი ტფილისის გუბერნია ცხავატური მეთუნეების ნახელავი ჭურჭლით მარაგდებოდა. ცხავატელებს ჰქონდათ ვარგისი თიხა მიწის დიდი მარაგი. თიხას იღებდნენ ადგილ „დავუთალას" ტერიტორიიდან, 5-6 მეტრის სიღრმიდან, რომ ხარისხიანი ჭურჭელი დაემზადებინათ. ზედაპირული თიხა მასალად ვერ გამოდგებოდა, რადგან მისგან დამზადებული ჭურჭელი მალე იშლებოდა. თიხა მთიდან ჩამოჰქონდათ ზურგით ან ცხენით. აშრობდნენ, გაცრიდნენ და ფეხით ზელავდნენ, რის შემდეგაც მუხის მორგვზე აკეთებდნენ სხვადასხვა ჭურჭელს: ქილას, ქვევრს, კოკას, სადღვებელს, ქვაბს, ხელადას, ლიტრას, ჯამს, საღვინეს, სურას... ცხავატური თიხის ჭურჭელი განსაკუთრებული მოცულობით არ გამოირჩეოდა, კოკა 10-12 ლიტრიანი იყო, ქვევრი არა უმეტეს 100 ლიტრიანი. გამზადებულ ჭურჭელს მზეზე აშრობდნენ და ქათმის ფრთისაგან შეკრულ „ფთე"-თი აჭრელებდნენ მოყვითალო მიწის საღებავით, რომელსაც „წენაკი" ეწოდება. ის ძნელი საშოვარი ყოფილა და კასპთან ახლოს აშურიანის კლდეში მოიპოვებდნენ. მზეზე გამომშრალი ჭურჭლის გამოწვა ღუმელში ხდებოდა, გამოწვისას მოყვითალო საღებავი წითელ ფერს იღებდა და ჭურჭლიდან აღარ გადადიოდა. გასაყიდად, ძირითადად, ქართლში გაჰქონდათ ცხენების მეშვეობით, ჭურჭელი იყიდებოდა „ჭირნახულის იმ რაოდენობაზე, რაც შიგ ჩაეტეოდა". ფულზე იშვიათად ყიდიდნენ.

გარდა ამისა, ერისთავებისა და სხვა მემამულეების მთები ზაფხულობით კვებავდნენ ასი ათასამდე ცხვარს, რომელიც ყოველწლიურად იძლეოდა ათასი თუმნის ყველსა და ხუთი ათასი თუმნის მატყლს. ხეობიდან გადიოდა 800 ფუთი (მასის ერთეული, უდრიდა 16.3805 კგ-ს) გვირილა, ერთი ფუთი თერთმეტ მანეთად იყიდებოდა. აწ გარდაცვლილი ახალგორელი ისტორიკოსის ვ. ხოცუაშვილის ცნობით: **„ახალგორელ ვაჭართა ერთი ნაწილი გვირილით ვაჭრობდა. გვირილისაგან ამზადებდნენ ე.წ. სპარსულ ფხვნილს, რომელსაც ტყავის გამოსაყვანად ხმარობდნენ. ამ სასარგებლო ტექნიკური მცენარის ყვავილს ისინი ყიდულობდნენ მთის სოფლებში (ჭურთაზე, საფერშეთში, ქარჩოხსა და ცხრაძმაზე), სადაც 300-ზე მეტი ოჯახი სპეციალურად ამზადებდა გვირილას".**



საგუშაგო კოშკი, სოფელი კორინთა

ბაღებში მოჰყავდათ ხუთასი თუმნის ვაშლი და მსხალი, ასი თუმნის ნიგოზი, ხუთასი თუმნის ჯონჯოლი. იყიდებოდა ხუთი ათასი თუმნის ღვინო, ხუთი ათასი თუმნის ქერი და პური. დიდ შემოსავალს იძლეოდა ტყის უხვი მასივი, ასევე აქ დამზადებული ნიჩბები, კალათები და სხვა სახელოსნო ნაწარმი. ავტორის ანგარიშში არ შედიოდა ახალგორის სამხრეთით მდებარე სოფელი მუხრანი, სადაც 700 კომლამდე მცხოვრები იყო და დიდი რაოდენობით ღვინო მოჰყავდათ.

სამწუხაროდ, ეს აურაცხელი ქონება მშრომელ ხალხს ვაჭარ-ჩარჩების მეშვეობით ხელიდან ეცლებოდა. ვიდრე ქსნის ხეობის გლეხების ნაშრომ-ნაწვალები მომხმარებელთან მივიდოდა, რამდენიმე ხელი უნდა გაევლო. იდეაც ჰქონიათ, მეცხვარეს მატყლი აგენტის შემწეობით პირდაპირ ფაბრიკისთვის გადაეცა, მაგრამ ეს აზრი მხოლოდ აზრად დარჩენილა.

გლეხის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და „ვაჭრის სახე" კარგად ჩანს წერილის ავტორის სიტყვებში: **„წელს მთელს ხეობაზე კარგი მოსავალია, მაგრამ გლეხს რომ ჰკითხოთ, გიპასუხებსთ ცუდიაო. იმან იცის, რომ ვაჭარმა ცხენი გაგზავნა მთაში გასასუქებლად, რათა უფრო გაუძლოს ჭირნახულის ზიდვას, იცის, რომ ვაჭარი ამზადებს დიდ-ძალს ტომრებს, ჩანახს ასწორებს და ეშინიან გლეხს, თავს იკატუნებს, ვაი თუ ვაჭარმა ჭირნახული სულ გამიზიდოს ნისიასა, თუ ვალში და წლის სარჩო აღარ დამრჩესო. თუმცა ბევრს ოსტატობას ხმარობს გლეხი, კაცობას იმცირებს, მაგრამ წლის თავზე, ხან შუა წლიდგან მოსავალი აკლდება. გლეხმა ნისიად მისცა იმ იმედით, რომ გაჭირ(ვ)ების დროს ვაჭარი ისევ ხელს გაუმართავს თავისებურად. წელს გლეხებზე ქერ-ჭრელი იყიდებოდა სამ მანეთ ნახევრად. თვითონ-კი დაკვეთილი ჰქონდათ ქერი ოთხის აბაზის კვალობაზე".**

გლეხი მოსავალს ნატურით ცვლიდა მარილზე, ფარჩაზე, ღვინოზე (მთის ხალხი), თევზზე... როცა ვაჭარი ჰკითხავდა, რაზე ჰყიდიო - ფარჩაზე, ჭირნახულზე ან ბურნუთზეო (წვრილად დაფქული საყნოსი თამბაქო). ფულის მიღებაზე უარს ამბობდა, რადგან ვაჭრობაში გამოუცდელი იყო და ფიქრობდა, მოატყუებდნენ. ფული კი ყოველთვის ჭირდებოდა, „ხელმწიფიანთვის" უნდა მიეცა, ბატონი და მღვდელი უნდა გაესტუმრებინა... ფულს გლეხები ურმის ქირავნობისა და მკა-თიბვის მეშვეობით იღებდნენ: **„დადგება თუ არა მკათათვე და თიბათვე, მთის ხალხი დაიძვრება ბარისკენ ნამგლებით და ცელებით. წელს მუშის დღიური ქირა არის სამიდგან ოთხ აბაზამდე. შემოდგომაზე ეზიდებიან დაქირავებულის ურმებით თავიანთ კალოვენახებიდგან, ან მემამულეთა ზვრებიდგან ტკბილს, ჭირნახულს სოფ. ახალ-გორში. გაზაფხულზე ახალ-გორელებისაგან წვრილად მოგროვილს ჭირნახულს, - ღვინოს, ყველს, ჯონჯოლს, მატყლს და სხვას, – ყიდულობენ მოიჯარადრენი, სირაჯები, ალაფები და ეზიდებიან ურმებით სტანციებისა და ქალაქებისაკენ და იქიდგან-კი დუქნის საქონელი მოაქვსთ".**

„თვალად აქ გლეხები შეძლებულნი უნდა იყვნენო" – ასკვნის ძმუისელი, მაგრამ ათასი ვალი და ვახში იყო მათი სიღარიბის მიზეზი.

ქსნისხეობელი გლეხის შეჭირვებული ყოფის ერთი საბედისწერო მომენტია აღწერილი 1897 წლის 29 ნოემბრის „ივერიაში", რომელიც სოფელ მონასტერში (ლარგვისში) მცხოვრებ ოჯახზე მოგვითხრობს: **„ს. მონასტრის საზოგადოებაში სცხოვრობს ერთი საწყალი „მთიული" - ხელმარტო, ცოლის ანაბარა. ცოლს წინა დღეებში ქმართან ლაპარაკი თურმე ჰქონია თავისის ოჯახის სიღარიბის შესახებ. უთხრა თურმე ცოლმა: გადი გარეთ, შენის ოფლით შემოიტანე ან პური, ან ქერი, ამ ზამთრით თავი დავირჩინოთო. ერთი თუმანი გვაოხრია, „ფოჰტის" ფულში წაიღებენ, მშივრები ამოვიხოცებით, მეც მომწყინდა სიღარიბე, მეტი აღარა შემიძლიაო".** ქმარს ბევრი უნერვიულია. ახლო-მახლო რთული ყოფილა ოფლით ლუკმა-პურის შოვნა და შორსაც არ შეეძლო წასვლა. ბოლოს უფიქრია, მეზობლებში ხელს გავიმართავ, ცოტას ჩემი თუმნითაც ვიყიდი და ზამთარს გადავიტანთო, მაგრამ სოფელში ბეგარის აკრეფის დროს მოხელეებს, რაც ჰქონდა, ის ფულიც წაურთმევიათ. საწყალი კაცი მეორე დღეს ტყეში წასულა შეშის მოსატანად და სახლში დაბრუნებულს ცოლი თოკზე ჩამომხრჩვალი დახვედრია...

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ" №108, 109-110, 111-119, 120-121, 123, 125, 126**

# ერთი ნაღდი, ორი სათუო




**ფინეთში გამართული გრან პრის სერიის ბოლო, მეექვსე ეტაპით დასრულდა ფიგურულ სრიალში ამავე სერიის ფარგლებში გამართული საერთაშორისო ტურნირები და თითოეულ კატეგორიაში გამოვლინდნენ გრან პრის სერიის ფინალისტები.**

საქართველოს ნაკრების წევრმა სპორტულმა წყვილმა – **ლუკა ბერულავამ** და **ანასტასია მეტელკინამ** ოქროსა და ვერცხლის მედლები მოიპოვა ცალკეულ ეტაპებზე და 28 სარეიტინგო ქულით ფინალური ასპარეზობის საგზურის მფლობელი გახდა. სპორტული წყვილების კატეგორიაში ფინალში სულ მონაწილეობას მიიღებს ყველაზე მაღალრეიტინგული ექვსი სპორტული წყვილი.

გრან პრის ფინალი 4-7 დეკემბერს იაპონიის ქალაქ ნაგოიაში გაიმართება.

ეტაპების მიხედვით საკმაოდ მაღალი შედეგები აჩვენეს ჩვენი ნაკრების სხვა წევრებმაც. **ნიკა ეგაძესა** და **ანასტასია გუბანოვას** ძალიან ცოტა ქულა დააკლდათ ფინალში სასპარეზოდ. ისინი შესაბამის კატეგორიებში სამ სარეზერვო მონაწილეს შორის არიან წარდგენილნი.



# ჩვენი დროც დადგა

**გორჯომის სასტუმრო ოლიმპი 3 დღის განმავლობაში სპორტის ჟურნალისტთა მედიასემინარის მონაწილეთა განკარგულებაში გახლდათ, კოლეგათა ასე ნანატრი ღონისძიების მოწყობას კი თავი ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა სსჟას-თან თანამშრომლობით მოაბა.**

თვით მსჯელობის თემატიკაც მოწმობს განხილულ საკითხთა აქტუალობას: ოლიმპიური ქარტია და ოლიმპიზმი, სპორტის ჟურნალისტიკა და ფსიქოლოგია, ხელოვნური ინტელექტი და სპორტი, სპორტში გენდერული თანასწორობის არსებითი ასპექტები.

ვფიქრობთ, შეკრების მნიშვნელობაზე თვალნათლივ მეტყველებს მომხსენებელთა ნუსხა: ლერი ხაბელოვი, ელგუჯა ბერიშვილი, ემზარ ზენაიშვილი, ნინო სალუქვაძე, რუსუდან აფციაური (სეოკი), გიგა გვენცაძე, თენგიზ პაჭკორია (სსჟა), კახი კახიაშვილი (ოლიმპიური კლუბი) და ფსიქოლოგი დავით ნანობაშვილი.

# კარგი ამბები

**კვიპროსი.** მე-12 ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი – მერიტის ღია ჩემპიონატი



სპორტულ ნარდში. **ოქრო** – მარინა პირველი. მან ფინალში 5:0 სძლია თურქ მალთემ ჰაზირს.

* * *

**ტაილანდი.** პარაფარიკაობაში მსოფლიო თასის გათამაშებაში ქართველ ეტლით მოფარიკავეთა ტრიოს ტრიუმფზე მოხმალავეთა ტურნირში უკვე გაუწყეთ. სიამოვნებით დავძენთ, რომ „ა“ კატეგორიაში უმედლოდ არც რაპირით ბრძოლაში დავრჩენილვართ, სადაც ბრინჯაო **ნინა თიბილაშვილმა** დაიმსახურა.

* * *

**ბელგრადში** გამართულ ძიუდოისტთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე გოლდენ გორი ბრინჯაოს დაეუფლა შემდეგი შემადგენლობით: ეთერ ლიპარტელიანი, მარიამ ჭანტურია, სოფიო სომხიშვილი, გიორგი ჩიხელიძე, ლაშა შავდათუაშვილი, ლუკა მაისურაძე, თამაზ ბიგანაშვილი, გურამ თუშიშვილი, ხოლო მონტენეგროში გათამაშებული ევროპის ახალგაზრდული თასის მფლობელი საგარეჯოელი **შოთა ბაჩოშვილი** გახდა (60 კგ), **ნიკოლოზ კურდღელაშვილს** კი ბრინჯაო (63 კგ) ხვდა.

* * *

**13-14 წლამდელ მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატის** ოქროს მედლები **გიორგი ახვლედიანმა** (52 კგ) და **დავით ალიხანაშვილმა** (54 კგ) მოიხვეჭეს.

# ყველანი გავთელეთ!

**ბერძნულ სალონიკში გამართულ ჭაბუკთა ევროპის თასზე ჩვენმა ძიუდოისტებმა 14 მედალი მოიპოვეს, რისი დამსახურებითაც საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავეს.**



ოქროს მედალოსნები გახდნენ: იესო სამსიანი (-73კგ), ლუკა აბგაიძე (-90კგ) და ნიკოლოზ აფციაური(+90კგ), ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს: ნიკოლოზ ფალელაშვილმა (-60 კგ), ნიკა ბრეგვაძემ (-66 კგ), მაია ღვალაძემ (+70კგ), გიორგი მჭედლიშვილმა (-73კგ) და ოთარ ჯაფარიძემ(+90კგ), ხოლო ტურნირი მესამე ადგილზე დაასრულეს თორნიკე მდინარაძემ (-55 კგ), თამარ გამიაშვილმა(-57კგ), გიგი კეკვიაშვილმა (-66 კგ), ნია ქაფიანიძემ (+70კგ), გიორგი გეწაძემ (-73კგ) და ლუკა ბუზიაშვილმა.(-81კგ)

# უნიკალური მიღწევა

**მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ ერთ საგულისხმო გარემოებაზე, რომელიც, ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება კალათბურთის, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, კალათბურთის ეროვნული ასოციაციის, ნბა-ს გულშემატკივრებისათვის.**

ცხადია, მხედველობაში გვაქვს ლეგენდარული „ბოსტონ სელტიქსის“ რეკორდი, რომლის არათუ გაუმჯობესება, არამედ გამეორება, ადვილი არ იქნება. 1959 წლიდან 1966 წლამდე ბოსტონ სელტიქსი ზედიზედ რვაჯერ გახდა ნბა-ს ჩემპიონი, ანუ როგორც ამერიკელებს უყვართ თქმა, „მსოფლიო ჩემპიონი“. სიტყვაძუნწი რომ არ ვიყოთ გავიხსენოთ ფაქტები. ისინი ყველაფერზე მეტყველებენ:

**1959 წელი**: ბოსტონი-მინეაპოლისი 4:0 – 118:115, 128:108 (ბოსტონში), 110:123; 113:118 (მინეაპოლისში).

**1960 წელი:** ბოსტონი-სენტ-ლუისი 4:3 – 140:122, 103:113 (ბოსტონში), 86:102, 106:96 (სენტ-ლუისში), 127:102 (ბოსტონში), 105:102 (სენტ-ლუისში), 122:103 (ბოსტონში).

**1961 წელი:** ბოსტონი-სენტ-ლუისი 4:1 – 129:95, 116:108 (ბოსტონში), 124:120, 104:110 (სენტ-ლუისში), 121:112 (ბოსტონში).

**1962 წელი:** ბოსტონი –ლოს-ანჯელესი 4:3 – 122:108, 122:129 (ბოსტონში), 117:115, 103:115 (ლოს-ანჯელესში), 121:126 (ბოსტონში), 105-119 (ლოს-ანჯელესში), 110:107 (დამატებით დროში – ბოსტონში).

**1963 წელი:** ბოსტონი-ლოს-ანჯელესი 4:2 – 117:114, 113:106 (ბოსტონში), 119:99, 105:108 (ლოს-ანჯელესში), 119:126 (ბოსტონში), 109:112 (ლოს-ანჯელესში).

**1964 წელი:** ბოსტონი-სან-ფრანცისკო 4:1 – 108:96, 124:101 (ბოსტონში), 115:91, 95:98 (სან-ფრანცისკო), 105:99 (ბოსტონში).

**1965 წელი:** ბოსტონი-ლოს-ანჯელესი 4:1 – 142:110, 129:123 (ბოსტონში), 126:105, 99:112 (ლოს-ანჯელესში), 129:96 (ბოსტონში). „ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა“ ფინალი ადვილად დათმო, რაც გამოწვეული იყო გუნდის ერთ-ერთი მთავარი სნაიპერის, **ელჯინ ბეილორის** ტრავმით.



**1966 წელი:** ბოსტონი-ლოს-ანჯელესი 4:3 – 129:133 (დამატებით დროში), 129:109 (ბოსტონში), 106:120, 117:122 (ლოს-ანჯელესში), 117-121 (ბოსტონში), 123:115 (ლოს-ანჯელესში), 95:93 (ბოსტონში).

შესაძლოა, ეს რეკორდი კიდევ უფრო შთამბეჭდავი ყოფილიყო, მაგრამ 1958 წლის ფინალში „ბოსტონ სელტიქსს“ მოულოდნელად დაუცდა ფეხი და ფინალში მარცხი განიცადა სენტ-ლუისთან შეხვედრაში: 4:2 – 102:104, 136:112 (ბოსტონში), 111:108, 95:109 (სენტ-ლუისში), 100:102 (ბოსტონში) და 110:109 (სენტ-ლუისში). ჭეშმარიტად, დრამატული დასასრული იყო, მაგრამ მაინც არის რეკორდი: „ბოსტონ სელტიქსმა“ ზედიზედ ათჯერ ითამაშა ფინალში და ცხრაჯერ გაიმარჯვა. პირველად ეს მოხდა 1957 წელს, როდესაც ფინალში დრამატულ ბრძოლაში მინიმალური ანგარიშით სძლია სენტ-ლუისს 4:3 – 123:125 (ორი დამატებითი ტაიმი), 119:99 (ბოსტონში), 100:98, 118:123 (სენტ-ლუისში), 124:109 (ბოსტონში), 96:94 (სენტ-ლუისში), 125:123 (ორი დამატებითი ტაიმი – ბოსტონში). ეს, ჭეშმარიტად, „ბოსტონ სელტიქსის“ ოქროს ხანა იყო.

ახლა, მოდით, გადავიდეთ ინდივიდუალურ რეკორდებზე, რომლის გაუმჯობესება ან გამეორება ასევე ადვილი არ იქნება. ეს საინტერესო უნდა იყოს. „ბოსტონ სელტიქსის“ ტრიუმფალური წარმატებები წარმოუდგენელი იქნებოდა ორი ლეგენდარული პიროვნების გარეშე. ეს გახლავთ მწვრთნელი **არნოლდ (რედ) აუერბახი** და ცენტრალური თავდამსხმელი **ბილ რასელი.**

აუერბახის სახით საქმე გვაქვს მწვრთნელთან, რომელმაც ყველაზე მეტჯერ მოიგო ნბა-ს ჩემპიონატი. იკვეთება სამი რეკორდი: მან ყველაზე უფრო მეტჯერ ითამაშა ფინალში – ათჯერ. ცხრაჯერ გახდა ნბა-ს ჩემპიონი და აქედან რვაჯერ ზედიზედ.

თავის მწვრთნელს ცოტათი უსწრებს ლეგენდარული კალათბურთელი ბილ რასელი. მან ზედიზედ ათი ფინალი ითამაშა და ცხრა მოიგო. მან გააუმჯობესა მწვრთნელის ეს მიღწევა და კიდევ ორჯერ, უკვე მოთამაშე მწვრთნელის რანგში, გახდა ნბა-ს ჩემპიონი. ეს მოხდა 1968 და 1969 წელს.

პირველ შემთხვევაში „სელტიქსმა“ „ლეიკერსთან“ მოიგო 4:2. პირველი ორი შეხვედრა ბოსტონში ფრედ დასრულდა 1:1 – 107:101, 113:123. შემდგომი ორი მატჩი გაიმართა უკვე ლოს-ანჯელესში. თავდაპირველად წარმატებას „სელტიქსმა“ მიაღწია და მოიგო მატჩი 119:127. ის დაწინაურდა სერიაში 2:1, მაგრამ მეოთხე შეხვედრაში წონასწორობა კვლავ აღდგა. 118:108, გაიმარჯვა „ლეიკერსმა“. სერიის ანგარიში გახდა 2:2. მეხუთე მატჩი დაძაბულ ბრძოლაში, დამატებით დროში მოიგო „სელტიქსმა“ 120:117 და დაწინაურდა 3:2. გადამწყვეტი აღმოჩნდა მეექვსე შეხვედრა ლოს-ანჯელესში, რომელიც სტუმრებმა დამაჯერებლად მოიგეს 124:109. სერიის ანგარიში გახდა 4:2 და ბოსტონი მეათედ გახდა ნბა-ს ჩემპიონი.

1969 წლის ფინალი კიდევ უფრო დაძაბული გამოდგა. ამავე გუნდებმა შვიდივე მატჩი ითამაშეს და „ბოსტონ სელტიქსმა“ ძნელი გამარჯვება მოიპოვა 4:3. დასაწყისი „სელტიქსს“ კარგს არაფერს არ უქადდა. მათ ორივე მატჩი დათმეს 120:118 და 118:112, მაგრამ მოიგეს ორივე შეხვედრა ბოსტონში 111:85 და 89:88. ამას მოყვა მარცხი გასვლაზე 117:104 და გამარჯვება სახლში 99:90. ანგარიში კვლავ გათანაბრდა 3:3, დაძაბულობა კულმინაციას აღწევს. გადამწყვეტი მეშვიდე შეხვედრის ბედზე გავლენა მოახდინა თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე **უილტ ჩემბერლენის** მიერ მიღებულმა ტრავმამ. „სელტიქსმა“ ძნელი გამარჯვება მოიპოვა სტუმრად 106:108. ასეთ მაღალ ნოტაზე დაასრულა თავისი ბრწყინვალე კარიერა ლეგენდარულმა ბილ რასელმა. ის თერთმეტჯერ გახდა ნბა-ს ჩემპიონი. ალბათ, ამ რეკორდს გაუმჯობესება ან განმეორება დიდი ხანი არ უწერია.

**მერაბ კალანდაძე**



## „მაწიმის“ მონაკვეთზე 4 საზღვრის დამრღვევი დააკავეს!

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, ლაგოდეხის სამმართველოს სასაზღვრო სექტორ „მაწიმის“ დასაცავ მონაკვეთზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უცხო ქვეყნის ოთხი მოქალაქე – 2004 წელს დაბადებული ა.ა., 2003 წელს დაბადებული ს.უ., 2000 წელს დაბადებული ა.ღ. და 2004 წელს დაბადებული ს.ხ. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჯგუფურად, უკანონოდ გადაკვეთის ფაქტზე დააკავეს, – ინფორმაციას ამის შესახებ სასაზღვრო პოლიცია ავრცელებს.

მათივე ცნობით, დანაშაული 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**„გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა, სასაზღვრო-საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან საქართველოს მიმართულებით ჯგუფურად, უკანონოდ გადმოკვეთეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჯგუფურად, უკანონოდ გადაკვეთას გულისხმობს“**, – წერს სასაზღვრო პოლიცია.

## საქართველოდან უცხო ქვეყნის 32 მოქალაქე გააძევეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სამინისტროს შესაბამის დანაყოფებთან მჭიდრო კოორდინაციით, უცხო ქვეყნის 32 მოქალაქე საქართველოდან გააძევეს,** – ინფორმაციას ამის შესახებ შსს ავრცელებს.

**უწყების ცნობით, ბოლო დღეებში ჩატარებული კომპლექსური ღონისძიებების შედეგად, გაძევებულ იქნა თურქეთის, ინდოეთის, ირანის, პაკისტანის, რუსეთის, კამერუნის, ჩინეთისა და ნიგერიის, ჯამში, 32 მოქალაქე.**

**„მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გაძევებულ პირებს ქვეყანაში შემოსვლის აკრძალვა დაუწესდათ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტი წარმოადგენს ქვეყნის შიგნით უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე პასუხისმგებელ ორგანოს. მის ერთ-ერთ კომპეტენციას წარმოადგენს საქართველოში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეების გამოვლენა და საქართველოდან გაძევების განხორციელება“**, – ნათქვამია შსს-ს ინფორმაციაში.

## ქუთაისის აეროპორტში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება და ფსიქოტროპული ნივთიერება ამოიღეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში შემოტანის ბრალდებით, 1983 წელს დაბადებული ნ.ჭ., ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეები: 1983 წელს დაბადებული დ.ჰ. და 1985 წელს დაბადებული ა.ს. დააკავეს,** – ინფორმაციას შსს ავრცელებს.

უწყების ცნობით, სამართალდამცველებმა ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში, ბრალდებულების ხელბარგის შემოწმებისას, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი აბები ნივთმტკიცებად ამოიღეს.

**„დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 261-ე, 262-ე და 263-ე მუხლებით მიმდინარეობს“.**






## ქრისტეშობის მარხვა – ფილიპეს მარხვა

**28 ნოემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იწყებს ქრისტეშობის მარხვას. წინა დღეს ხსენებაა მოციქულისა – ფილიპესი.**

ფილიპე თორმეტი მოციქულთაგანი იყო, რომელიც მაცხოვარში ხედავდა სრულყოფილ კაცს, უდიდეს მასწავლებელს, სრულყოფილ ღმერთს. ხოლო როცა უფლის ხელთაგან 5 პურითა და 2 თევზით 5000 კაცი დაპურდა, მაშინ ფილიპე უფრო განმტკიცდა რწმენაში, ადიდა იესო ქრისტეში ძალა ღვთისა.

**...მოიცქული ფილიპე ქრისტეს სიტყვას ქადაგებდა გალილეაში, რომელსაც სასწაულები ახლდა თან.**

**გიული ლიპარტია**

### პატრიარქის სამძიმარი

## გია ჭუბაბრია

**„ოთხი წლის წინ მას ვაჟი გარდაეცვალა, ვერ გაუმხილეს. ახლა შეხვდებიან ერთმანეთს...“**

**ილია მეორე.**



**24 ნოემბერს საქართველო გამოეთხოვა ცნობილ რეჟისორს, სცენარისტსა და ოპერატორს, ნიჭიერ კინოდოკუმენტალისტსა და შესანიშნავ პიროვნებას, ბატონ გია (გიორგი) ჭუბაბრიას.**

**მან არაერთი ნამუშევარი მიუძღვნა საქართველოს სხვადასხვა კუთხეს, საქართველოსთან დაკავშირებულ საზღვარგარეთის ცხოვრებას, ასევე, საეკლესიო შინაარსის შემცველ თემატიკას.**

**ოთხი წლის წინ მას ვაჟი კახა (წარმატებული ქირურგი) გარდაეცვალა, მაგრამ ავადმყოფობის გამო ეს მას ვერ გაუმხილეს. ახლა შეხვდებიან ერთმანეთს...**

**აღვავლენთ ლოცვებს გია-გიორგის, მისი მეუღლის, ქალბატონი ლეილას და შვილის, ბატონი კახა-კახაბერის უკვდავ სულთათვის, რათა უფალმა სავანესა მართალთასა დაანესოს იგინი, ხოლო მათი ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და გულშემატკივართ მომადლოს ლოცვის ძალა.**

## მყინვარების დნობამ შესაძლოა, მსოფლიოში ვულკანების ამოფრქვევის გააქტიურება გამოიწვიოს!

**მეცნიერების ვარაუდით, მყინვარების დნობა ვულკანების ამოფრქვევას უფრო გაახშირებს და პროცესში კლიმატის ცვლილებას გააუარესებს. ასეთ დასკვნამდე ვისკონსინ-მედისონის უნივერსიტეტის სპეციალისტები მივიდნენ.**



მათი თქმით, ანტარქტიდაში, რუსეთში, ახალ ზელანდიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში მყინვარების ქვეშ ასობით ვულკანი იმალება. მაგრამ პლანეტაზე ტემპერატურის მატება ყინულის საფარს ადნობს, რაც ვულკანების გააქტიურების შესაძლებლობას ზრდის.

მეცნიერები მყინვარების დნობასა და ვულკანების ამოფრქვევებს შორის კავშირზე ჯერ კიდევ 1970-იან წლებში ალაპარაკდნენ. ამის საფუძველი საკმაოდ მარტივი მექანიზმია: მყინვარების სიმძიმე დედამიწის ქერქსა და მანტიას აწვება. ეს წნევა ყინულის დნობასთან ერთად იკლებს, რის შედეგადაც მიწისქვეშა აირები და მაგმა ფართოვდება. ეს იწვევს წნევის დაგროვებას, რაც აფეთქებით ამოფრქვევებს განაპირობებს. ანალოგიური პროცესი ისლანდიაში, 10 ათასი წლის წინ, ბოლო გამყინვარების პერიოდის ბოლოს უკვე განვითარდა–ყინულის საფარის დნობის ფონზე, ქვეყანაში ვულკანური აქტივობის ზრდა დაფიქსირდა. ამასთან, გამყინვარების პერიოდის პიკში.

2020 წლის კვლევის მონაცემებით, პლანეტის 245 პოტენციურად ყველაზე აქტიური ვულკანი ყინულის 5-კილომეტრიანი საფარის ქვეშ იმალება. მეცნიერები გვაფრთხილებენ, რომ დროთა განმავლობაში აქტიური ამოფრქვევები სათბურის აირების დაგროვებას შეუწყობს ხელს, რაც კლიმატის ცვლილებებს დააჩქარებს.



## მალხაზ ხარბედიას სახელობის ლიტერატურული პრემია

**მალხაზ ხარბედიას სახელობის ყოველწლიური ლიტერატურული პრემია დააარსეს საზოგადოებრივ-ლიტერატურულმა ჟურნალმა „არილმა“ და გამომცემლობა „აგორამ“.**

პრემია გადაეცემა ქართველ ავტორს საუკეთესო პუბლიკაციისთვის ესეისტიკისა და ლიტერატურული კრიტიკის ჟანრებში. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ გასული წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიების ავტორებს.

ჟიური, რომელიც შედგება ჟურნალ „არილისა“ და გამომცემლობა „აგორას“ წარმომადგენლებისგან, საუკეთესო ნამუშევარს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით გამოავლენს:

**პუბლიკაციაში განხილული საკითხის კულტურული და მეცნიერული მნიშვნელობა; სიღრმისეული ანალიზი და პრობლემის საფუძვლიანი გააზრება; ორიგინალური და ინოვაციური ხედვა.**

მალხაზ ხარბედიას სახელობის ლიტერატურული პრემია გაიცემა 30 დეკემბერს.

* * *

**პრემიაზე განაცხადის წარდგენისას დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:**

**საკონკურსო პუბლიკაცია უნდა წარმოადგენდეს ლიტერატურულ ესეის ან კრიტიკულ წერილს.**

**პუბლიკაცია პირველად გამოქვეყნებული უნდა იყოს კონკურსის გამოცხადების წინა კალენდარულ წელს.**

**კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია, რომ პუბლიკაციის ავტორმა ან იმ ჟურნალის რედაქტორმა, რომელშიც ნაშრომი გამოქვეყნდა, ჟიურის გაუგზავნოს:**

**შევსებული განაცხადის ფორმა; (განაცხადის ჩამოტვირთვას შეძლებთ ბმულიდან: https://docs.google.com/document/d/1dNp_TwzgTO56AoA08gEqB2CPH_vlOJQ0/edit?pl i)**

**საკონკურსო პუბლიკაცია ელექტრონული სახით (Word ან PDF ფორმატში).**

**მალხაზ ხარბედიას სახელობის ლიტერატურული პრემია შეადგენს 1000 ლარს და გადაეცემა პუბლიკაციის ავტორს.**

**საკონკურსო მასალები მიიღება 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: [arili-mag1994@gmail.com].**

**კონკურსზე წარდგენილი განაცხადების რაოდენობა შეზღუდული არ არის. პრემიის ლაურეატს კონკურსში კვლავ მონაწილეობა შეუძლია მხოლოდ ერთი წლის გასვლის შემდეგ.**

**ჟურნალი „არილი“ და გამომცემლობა „აგორა“ მზად არიან ითანამშრომლონ სპონსორებთან – გამომცემლებთან, კერძო და სხვა დაინტერესებულ პირებთან.**





# საქართველოს სახელმწიფო კამერული გუნდის კონცერტი რომში

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, მთავრობის წევრებთან ერთად, რომში, სანტა მარია მაჯორეს ბაზილიკაში, საქართველოს სახელმწიფო კამერული გუნდის კონცერტს დაესწრო, რომელიც ვატიკანის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გაიმართა.**

შესრულდა ქართული საგალობლები, ხალხური სიმღერები და ქართველ კომპოზიტორთა საგუნდო ნაწარმოებები, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ნაწარმოებები. პატრიარქის **„ავე მარია"** გუნდთან ერთად **იანო ალიბეგაშვილმა** შეასრულა. კონცერტში ასევე მონაწილეობდნენ კომპოზიტორი **ზვიად ბოლქვაძე** და ლოტბარი **გიორგი დონაძე.**

ღონისძიება საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, ვატიკანში საქართველოს საელჩოსთან თანამშრომლობით გაიმართა. ვატიკანის საიუბილეო თარიღი რომში 25 წელიწადში ერთხელ, 1300 წლიდან აღინიშნება.



# გაბრიელ ქიქოძის პატივგება ბახვში

ოზურგეთის მერის მოადგილეები – **სოფო რამიშვილი** და **გურამ გოლიაძე** წმინდა მღვდელმთავარი **გაბრიელის** დაბადებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრნენ.

**„წმინდა გაბრიელი (ქიქოძე) 1825 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვში დაიბადა. მთელი ცხოვრება საქართველოში ქრისტიანული რწმენის განმტკიცებას, განათლების მხარდაჭერასა და ქველმოქმედებას მიუძღვნა. განსაკუთრებულად მდიდარია მისი მოღვაწეობა ქართული ენის დაცვისა და ეროვნული ცნობიერების წინსვლის მიმართულებით. მის დროს აშენდა და აღდგა 200-ზე მეტი ტაძარი, ხოლო ქვეყანაში დაფუძნდა ასამდე სამრევლო სკოლა, ქალთა სასწავლებელი და სასულიერო სემინარია. ღონისძიების ფარგლებში, ბახვის წმინდა გაბრიელის სახელობის ტაძარში ჩატარდა წმინდა მღვდელმთავრისადმი მიძღვნილი წირვა-ლოცვა, რომელიც შემოქმედელმა მიტროპოლიტმა მეუფე იოსებმა აღავლინა.**

**ბახვის საჯარო სკოლაში კი გაიმართა სემინარი მისი ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ, ხოლო ესეების კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ. ღონისძიებას გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ღურჯუმელიძე და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია, მოადგილეებსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრნენ".**

# დაწესდა ერლომ ახვლედიანის სახელობის პრემია ნოველის ჟანრში – „ერთხელ"

**მწერალთა სახლი აწესებს ერლომ ახვლედიანის სახელობის ლიტერატურულ პრემიას ნოველის ჟანრში – „ერთხელ".**

კონკურსში გამარჯვებულები გამოვლინდებიან 2 ნომინაციაში: **„რჩეული ნოველა", „რჩეული დებიუტი".**

ლაურეატებს გადაეცემათ ფულადი ჯილდო: **„რჩეული ნოველა" – 3 000 ლარი, „რჩეული დებიუტი" – 2 000 ლარი.**

**საკონკურსო განაცხადები მიიღება დღეიდან, 23 ნოემბრიდან 23 დეკემბრის ჩათვლით. გამარჯვებულები გამოვლინდებიან 2026 წლის თებერვლის ბოლო კვირაში.**




# ქართული ღვინო ამერიკასაც აწონებს თავს!

**აშშ-ში ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა ღვინის შოუმ – „V is for Vino" ქართული ღვინის შესახებ ვრცელი სიუჟეტი მოამზადა,** – ამის შესახებ ინფორმაციას ღვინის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

სიუჟეტის ხანგრძლივობა ერთ საათზე მეტია და ის „V is for Vino"-ს ყველა პლატფორმაზე – ოფიციალურ გვერდზე, სოციალური მედიის არხებზე, საკაბელო ტელეარხზე-ReachTV და ამერიკის მასშტაბით 90-ზე მეტ აეროპორტში განთავსდა. სიუჟეტში, ქართული ღვინის 8-ათასწლიან ისტორიასა და თანამედროვე ინდუსტრიასთან ერთად, მოთხრობილია საქართველოს ტრადიციებისა და კულტურის შესახებ. ქართული ღვინის შესახებ სიუჟეტს ასობით ათასი მაყურებელი გაეცნობა, რაც დამატებითი შესაძლებლობაა ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზე ქართული ღვინის საექსპორტო პოზიციების გასამყარებლად.

აშშ-ში ქართული ღვინის მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს და სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners" მხარდაჭერით, ღვინის შოუს „V is for Vino" გადამღები ჯგუფი, მიმდინარე წლის აპრილის თვეში საქართველოში ერთი კვირა იმყოფებოდა. გადამღები ჯგუფის წევრები ღვინის მარნებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეწვივნენ.

აღსანიშნავია, რომ აშშ ქართული ღვინის ერთ-ერთ სტრატეგიულ საექსპორტო ბაზარს წარმოადგენს, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტო 2013 წლიდან ახორციელებს მიზანმიმართულ მარკეტინგულ აქტივობებს. ბოლო წლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, გაძლიერდა სარეკლამო კამპანიები ისეთ გავლენიან მედია საშუალებებთან, როგორიც არის CBS, CNN, The New York Times, Wine Enthusiast", რამაც აშშ-ში ქართული ღვინის ცნობადობისა და გაყიდვების სტაბილური ზრდა განაპირობა.




აშშ-ში ქართული ღვინის მარკეტინგულ კამპანიას ღვინის ეროვნულ სააგენტო უმსხვილეს ამერიკულ მარკეტინგულ კომპანიასთან „Colangelo&Partners" თანამშრომლობით ახორციელებს. კამპანიის ფარგლებში, აშშ-ის სხვადასხვა ქალაქში, ღვინის პროფესიონალებისა და ღვინით ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლებისთვის დეგუსტაცია-სემინარები იმართება; ქართული ღვინო წარმოდგენილია საერთაშორისო გამოფენებზე; მედიის, სომელიეებისა და გაყიდვების სფეროს წარმომადგენლებისთვის ეწყობა ღვინის ტურები საქართველოში, რაც ხელს უწყობს ქართული ღვინის უკეთ გაცნობასა და პოპულარიზაციას ამერიკულ ბაზარზე.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი.**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგზავნილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში"**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 1 დეკემბერს**